საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

K 84.410
3

მეცნიერულ-პოპულარული სერია

სერგი მაკალათია

თემმის ხეობა

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1959

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

НАУЧНО-ПОПУЛЯРНАЯ СЕРИЯ

С. И. Макалатия

Тедзамское ущелье

Историко-этнографический очерк

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ—1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მეცნიერულ-პოპულარული სერია

სერგი მაკალათია

თემმის ხეობა

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი

К 84.410
3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეძმის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

თეძმის ხეობა მდებარეობს შუა ქართლში, კასპის რაიონში. მას ჩამოუდის მდინარე თეძამი, რომელიც ჭვარებისა და თორის მთებიდან გამოდის და სასირეთთან მტკვარს შეერთვის.

ეს ხეობა საკმაოდ განიერია, მტკვრის შესართავთან დავაკებულია. სათავეში კი—მთაგორიანი. მის მწვანე ველებს ცვლიან ლამაზი ქოჩორა გორაკები.

ჰავა ზომიერია და სასიამოვნო, ზაფხული იცის გრილი და ამის გამო ეს ხეობა საგარაკო ადგილად არის მიჩნეული.

ვახუშტის აღწერით: „მდინარე თეძამი გამოდის ჭვარებსა და თორს საშუალს მთასა, და დედა-ციხემდინ დის აღმოსავლით, მერე დის ჩდილოთკენ და მიერთვის მტკვარს სამხრიდამ“[1].

თეძმის ხეობის ბუნება მრავალფეროვანია. მისი ზემო მხარე კლდოვანია და ტყიანი, იქ ვაზი და ხეხილი არ ხარობს. ქვემო ნაწილი დავაკებულია და ხეხილითა და ვაზითაა მოფენილი.

ვახუშტიც ამასვე აღნიშნავს: „ზემოთ თეძმის მდინარესა ზედა არს კრკონს მონასტერი. აქამომდე არს თეძამი ვენახ-ხილითა ნაყოფიერი, ამას ზეით, ვითარცა თრიალეთი ჭვარებითურთ“. (ე. ი. ულილო და უვენახო).

რაც შეეხება ამ ხეობის ისტორიულ წარსულს, იგი დღემდე შეუსწავლელია და ამიტომ მას ნაკლებად ვიცნობთ. მხოლოდ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებისა და მცირე და ნაწყვეტი წერილობითი ცნობების მიხედვითაა შესაძლებელი ზოგადად მაინც გაშუქდეს მისი ისტორიული წარსული.

თეძმის ხეობა გეოგრაფიულად და ადმინისტრაციულად შედიოდა ქართლის სამეფოში და როგორც აქ არსებული ისტორიული

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941, გვ. 56.

ეგლები მოწმობენ, მაშინდელი ხელისუფლება ჯერ კიდევ ადრინდელ პერიოდში ცდილობდა მის კეთილმოწყობას.

მე-7 საუკუნეში აქ არსებობდა შესანიშნავი რკონის მონასტერი[2], რომელიც მდებარეობს თეძმის ზემო მხარეში. ამ მონასტრის ნანგრევი დღესაც დაცულია, ეტყობა იგი კეთილმოწყობილი სავანე ყოფილა, რომელიც მწიგნობრობასთან ერთად საერთოდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც ეწეოდა. აქვე არის სხვა ნაგებობანიც და ერთი შესანიშნავი ძველი ხიდი. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ მე-7 საუკუნეში აქ უწარმოებიათ დიდი მშენებლობა და ეს ხეობაც კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებული ყოფილა.

ასევე შესანიშნავია საორბისის ტაძარი, რომელიც 1152 წელს აუშენებია კახა ერისთავთ ერისთავს[3]. ეს მცირე ტანის ძეგლი შემკულია მაღალხარისხოვანი ჩუქურთმებით, კედელზე ლამაზი ხელით ამოჭრილია მისი მშენებლის ასომთავრული წარწერა. ეს ძეგლიც თეძმის ხეობის კულტურულ დაწინაურებაზე მიგვითითებს.

ასეთივე მშენებლობა აქ მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდება. თეძმის ხეობაში შენდება იკვისა და ერთაწმინდის ტაძრები, რომლებიც მე-12—13 ს. მიეკუთვნებიან.

ამავე პერიოდში აქ არსებულა ქალაქი ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი, სადაც ერისთავთ ერისთავის კახას რეზიდენცია ყოფილა. ამას ადასტურებს კახა ერისთავთ ერისთავის მიერ რკონის მონასტრისადმი ბოძებული 1259 წლის შეწირულობის სიგელი[4]. ამ სიგელის შინაარსიდან ირკვევა, რომ ახალქალაქის ერისთავთ ერისთავი კახა მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა. მას სულის საცხონებლად რკონის მონასტრისათვის შეუწირავს სოფელი ხოვლე.

ეს კახა ცნობილი ისტორიული პირია, იგი მონაწილეობას იღებდა არღუნ ყაენის ლაშქრობაში მისრეთს (ეგვიპტე), რომლის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „და უმრავლესნი (ქართველნი) წარვიდეს ყაენს წინაშე. შანშეს ძე ივანე, და გრიგოლ სურამელი, ორბელი, და თორელი და კახა ერისთავი ახალქალაქისა, თავნი და პირნი ქვეყნისანი“[5].

---

[2] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 198—203.

[3] Г. Ч у б и н о в, Саорбисская церковь, „Христианский Восток“, т. IV, вып. II, Петроград, 1915, გვ. 180—190.

[4] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 132—145.

[5] ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, ნაწ. I, გვ. 390.

თეძმის ხეობა მონღოლთა ბატონობის პერიოდშიც კახას შთამომავალთა ხელში ყოფილა, ამას მოწმობს იმავე რკონის სიგელის დამტკიცების ხელისმოწერა. მე-15 საუკუნიდან კახას შთამომავალნი იწოდებოდნენ ჯავახიშვილებად (წარმოშობილია სახელი „ჯავახი“-საგან)[6].

რკონის მონასტერს კახას მიერ შეწირულ ხოვლეს ხელის მოწერით უმტკიცებენ: იესე ჯავახიშვილი (1505 წ.) და როინ ჯავახიშვილი (1550 წ.)[7]. ჯავახიშვილებს აქ ჰქონიათ თავიანთი მაგარი ციხეც—დ რ ი ს ი ს ც ი ხ ე, რომელსაც ახლაც ჯავახიანთ ციხეს უწოდებენ.

მე-16 საუკუნიდან თეძმის ხეობის მფლობელობაში ხდება ცვლილება. აქ გაბატონდა სააკაძის გვარიც, რომლის მამამთავარი იყო დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. როგორც ცნობილია, ეს გვარი დაწინაურდა ქართლის მეფე სვიმონ I-ისა და გიორგი X-ის დროს.

გიორგი სააკაძე ჯერ კიდევ 22 წლისა იყო, როდესაც თავი ისახელა თურქებთან ბრძოლაში და გიორგი X-ემ ასეთი თავდადებისათვის მას აზნაურობასთან ერთად „თარხნობა“-ც უბოძა, რაც თავისუფალს[8] ნიშნავდა.

ამასთანავე მეფე გიორგიმ სააკაძეს უბოძა მამულები და ყმები, 1607 წელს კი დაამტკიცა თავადად. ამის შემდეგ მოურავის შთამომავალნი გვარად თარხან-მოურავს ატარებდნენ (თარხნიშვილები).

გ. სააკაძის რეზიდენცია იყო ნოსტე: აქ მას ჰქონდა ციხე-გალავნით გამაგრებული სასახლე.

ლუარსაბ II-ის მეფობაში გ. სააკაძე კიდევ უფრო გაძლიერდა და მის მფლობელობაში თანდათანობით გადადის თეძმის ხეობის ქვემო ნაწილი, დაწყებული სასირეთიდან ერთაწმინდამდე (ე. წ. სათარხნო). თეძმის ზემო მხარე კი რჩება ისევ ჯავახიშვილების მფლობელობაში (ე. წ. საჯავახო).

ამგვარად, მე-16 საუკუნიდან თეძმის ხეობას ფლობდა ორი მებატონე: ჯავახიშვილები და **თარხან-მოურავები.**

ამავე დროს, აქ ქართლის მეფეებსაც ჰქონდათ თავიანთი საზაფხულო რეზიდენცია, როგორიც იყო ცხირეთი თავისი მაგარი ციხე-გალავნით.

---

[6] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, X-B, თბ., 1940, გვ. 44—45.

[7] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 143.

[8] П. И о с е л и а н и, Жизнь великого моурава Георгия Саакадзе, Тб., 1848, გვ. 5—8.

როსტომ მეფეს (1632—1658 წ.) აქ აღუდგენია ძველი ნაქალაქევი—ახალქალაქი და მისთვის უწოდებია „მეფის ქალაქი“ (სამეფო). ამას მოწმობს როსტომ მეფის ღვთისმშობლის ტაძრის კედლის წარწერა, რომელიც მოგვითხრობს, რომ თეძმის პირას აღვაშენე ქალაქი, სახელი უწოდეთ მეფის ქალაქი, დავასახლე სომეხი ვაჭარნიო[9].

მე-18 საუკუნეში თეძმის ხეობა განიცდიდა დაღესტნის ფეოდალთა აბრაგების[10] გამუდმებულ თავდასხმებს. ისინი გადმოდიოდნენ თრიალეთიდან და მთელ ხეობას იკლებდნენ, განსაკუთრებით მის ზემო მხარეს. დაღესტნელი ბრბოები იტაცებდნენ სარჩოსა და საქონელს, მოსახლეობა მიჰყავდათ ტყვედ და დიდ გამოსასყიდელს მოითხოვდნენ. სოფელი თავს აფარებდა კოშკებსა და ციხეგალავანს, ვისაც ასეთი თავშესაფარი არ ჰქონდა უნდა აყრილიყო და უშიშარ ადგილებში იხიზნებოდა.

დაღესტნელმა აბრაგებმა გაანადგურეს რკონის დიდი მონასტერი, გაძარცვეს ერთაწმინდის მდიდარი ტაძარი და სხვა. ამის გამო მრავალი სოფელი გაპარტახდა და ნასოფლარად იქცა.

მე-19 ს. პირველ ნახევარში ახალქალაქის ზემო მხარეზე მოსახლეობა უკვე არ იყო. შემდეგში აქ გადმოსახლდნენ არაგვის ხეობიდან მთიულები, რომლებსაც უჭირავთ თეძმის მარჯვენა მხარე, მარცხენა მხარეზე კი დასახლებულან ოსები.

მატერიალური კულტურის ძეგლები

თეძმის ხეობაში ბევრი საყურადღებო ისტორიული ძეგლები მოიპოვება. მათი შესწავლა და გაცნობა საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მის ისტორიას, ეკონომიკას და ყოფა-ცხოვრებას.

აქაური სოფლები განლაგებულია ხეობის პირას, მოსახლეობა შეჯგუფულია, რაც ქართლის სოფლებისათვის დამახასიათებელია, კარ-მიდამო არა აქვთ შემოღობილი.

ბევრია ძველი ნასოფლარი ადგილები და ახლად გაშენებული სოფლებიც. აქაურ სოფლებს ძველი სახელწოდება თითქმის დღემდე შემორჩენიათ.

---

[9] П. Иоселиани, Города существовавщие и существующие в Грузии, Тб., 1850, გვ. 28.

[10] ქართულად დაღესტანს ძველიდანვე „ლეკეთი“ ერქვა, ამიტომ იქიდან რაზმებად საქართველოში შემოსეულ აბრაგებსაც, ყველას განურჩევლად „ლეკებს“ უწოდებდნენ. ჩვენც „ლეკობა“-ს აბრაგების მნიშვნელობით ვხმაროობთ.

საილუსტრაციოდ აქვე მოგვყავს მათი დასახელება, ვახუშტის აღწერისა და დღევანდელი სახელწოდების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლების დასახელება

ძველად (ვახუშტის მიხედვით): 1. სასირეთი, 2. ნიაბი, 3. მეტეხი, 4. ყარაღაჯი, 5. ხანდაკი, 6. ჭვიროსი, 7. გომი, 8. ჩოჩეთი, 9. ახალქალაქი, 10. თეძამი, 11. მღებრის უბანი, 12. ახალშენი, 13. ნოსტე, 14. ფავნისი, 15. ერთაწმინდა, 16. ცუცუბანი, 17. ცხირეთი, 18. ცხვარეთი, 19. სამება, 20. გოსტიბე, 21. კაბერი, 22. ზენა დრისი, 23. ქვენა დრისი, 24. მელეთი, 25. კრკონი, 26. ფიცესი, 27. ლული, 28. ზაკვი, 29. ხწე, 30. ნადარბაზევი, 31. ბერების სოფელი, 32. ჭვარები, 33. სახორცე, 34. კილიკის-ჯვარი.

დღევანდელი სოფლები: 1. სასირეთი, 2. ნიაბი, 3. მეტეხი, 4. ყარაღაჯი, 5. ხანდაკი, 6. გომი, 7. ჩოჩეთი, 8. ახალქალაქი, 9. თეძმისხევი, 10. მღებრიანი, 11. მთიულთუბანი, 12. ნოსტე, 13. გარიყულა, 14. ერთაწმინდა, 15. ცხირეთი, 16. ცხავერი, 17. გოსტიბე, 18. კაბერი, 19. ზენა დრისი, 20. ჭყოპიანა, 21. ჩაჩუბეთი, 22. რკონი-ხარიჭალა, 23. ფიცესი, 24. ლული, 25. ზაკვი, 26. ხწე, 27. ნადარბაზევი, 28. ჭვარები, 29. სახორცე, 30. კილკის-ჯვარი, 31. ბარნაბიანთ-კარი, 32. კაპრაშიანი, 33. იკვი, 34. ხუმარა-ტყემლარი, 35. ჭვარები, 36. ახალციხე.

ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ იმ სოფლებს, სადაც დაცულია მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები და აგრეთვე ისტორიული ხასიათის თქმულება-გადმოცემები.

სასირეთი მდებარეობს მდ. თეძმის ნაპირას, მტკვრის შესართავთან. ამ სოფელში პირველად დასახლებულა ბეჟიტაშვილი და მაისურაძე.

სასირეთის მფლობელი ყოფილა შერვაშიძე. ამ საგვარეულოს წევრები დაკრძალული არიან სასირეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

სასირეთის მებატონეს, ელიზბარ შერვაშიძეს, ჰქონია ციხე-გალავანი, რომლის ნაწილი დღემდე დაცულია. იგი დგას სოფლის ცენტრალურ ადგილას და გადასცქერის თეძმის ხეობას.

გალავანში შერვაშიძეს აუგია ევროპული სტილის სახლი, კოშკიც საზაფხულო სადგომად გადაუკეთებია. შემდეგ შერვაშიძეს ეს სასახლე გაუყიდია; მასში ჩასახლებულან გლეხები, კოშკი და გალავნის ნაწილი დაუშლიათ. დღეს დარჩენილია მხოლოდ ერთი, სამხრეთ-დასავლეთის კოშკი და გალავნის კედელი, რომლის შესასვ-

ლელი კარი თაღიანია. გალავანს დატანებული აქვს სათოფურები და ალაყაფის კარი. კოშკი ოთხსართულიანია და მრგვალი ფორმის. სართულებზე ასასვლელი კიბე შიგ კედლებშია დატანებული, რომელიც უვლის სამხრეთ-დასავლეთით და ადის კოშკის მეორე სართულზე.

კოშკის სართულებს დატანებული აქვს აგრეთვე სარკმლები. თახჩები, შიგ გამართულია ბუხრებიც. კოშკის მეოთხე სართული დაშლილია; ამჟამად დარჩენილია მხოლოდ მისი მცირე ნაწილი.

ბ ა რ ნ ა ბ ი ა ნ თ-კ ა რ ი პატარა სოფელია და ბარნაბიშვილები ცხოვრობენ. ეს გვარი აქ გადმოსახლებულა რკონიდან, სადაც დღესაც არის მათი ნასოფლარი და ბარნაბიანთ წმ. გიორგის ეკლესია.

წინათ ამ სოფელში უცხოვრიათ ამბროლაძეებს, რომელნიც ამოწყვეტილან. ამბობენ რძეში წყეული (გველი) ჩავარდნილა და ამით მოწამლულან. ბარნაბიანთ წინაპარს მეფისათვის რაღაც სამსახური გაუწევია და მისთვის ამბროლაძის ნასოფლარი უთხოვია. მეფეს ეს თხოვნა შეუწყნარებია და ბარნაბიშვილებიც აქ გადმოსახლებულან. უფრო სწორი იქნება გვეფიქრა, რომ ეს გვარი რკონიდან აქ ლეკიანობის შიშით გადმოსახლდა.

ამ სოფელში დაცულია ორი პატარა ეკლესია: მთავარანგელოზი და წმ. გიორგი. მთავარანგელოზი დანგრეულია, დარჩენილია მისი ერთი კედელი, რომელიც დგას მაღალ ბორცვზე. წინათ აქ კოშკიც მდგარა, ეს ეკლესია და კოშკი დანგრეულა 1920 წელს მიწისძვრისაგან.

ზ ე მ ო ხ ა ნ დ ა კ ი მოზრდილი სოფელია. პირველად აქ დაბინავებულა იორდანაშვილი. იგი ყოფილა მონადირე. ნადირობის დროს მას აქ უპოვია ძველი კოშკი. ეს ადგილი მოსწონებია და ამ კოშკთან დასახლებულა. შემდეგ სოფლის მცხოვრებნი მომრავლებულან და კოშკზე მიუშენებიათ წმ. გიორგის ეკლესია. ამ სოფელში არის აგრეთვე რამდენიმე პატარა ეკლესია: წმ. გიორგი, წმ. თევდორე, სამება და კალოუბანი. ამ ეკლესიებთან ძველი ნამოსახლარებია, ეტყობა ეს მცირე ეკლესიები საგვარეულო ანუ სოფლის უბნის სალოცავები იყო. თევდორეს ეკლესია დგას ე. წ. „ს ა ჭ ი რ ვ ე უ ლ ო“-ზე, რომელიც წარმოადგენს ძველ ნასოფლარს. აქ ძველი სასაფლაოც არის. ეკლესია ნაგებია ქვიტკირით, დარბაზულია, ჭერი და სახურავი ჩაქცეულია; შემკული ყოფილა ჩუქურთმიანი ქვებით, რომლებიც ამჟამად მოუხსნიათ და მუზეუმში გადაუტანიათ.

კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია დგას მაღალ ქედზე, იგი გადასცქერის ერთი მხრით თეძმის ხევს (ახალქალაქს), მეორე მხრით

კი ფაშიან-ხანდაკს. ეკლესია ქვიტკირისაა, ფორმით დარბაზული.

მ ე ტ ე ხ ი დიდი სოფელია. სახელწოდება „მეტეხი“ ბერძნულია და ნიშნავს მეტოქეს, ქვემონასტერს. მეტეხის მონასტერი (ტაძარი) უშუალოდ ემორჩილებოდა, ე. ი. ეკუთვნოდა ქართლის კათალიკოსს მთელი მისი შემოსავალ-გასავლით.

აქ ცხოვრობენ სხვადასხვა გვარები, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია გვარი: გეჯაძე, გუგულაშვილი, ოდოშაშვილი და ღალიაშვილი.

თუ ჩვენ დღევანდელ აქაურ გვარებს შევადარებთ რუისის სამწყსოს დავთარს, სადაც შეტანილია მეტეხის მცხოვრებთა გვარები, რომლებსაც ემართათ მოსახსენებელი[11], ეს გვარები მეტეხში ახლა აღარ არიან.

ეტყობა ძველი მოსახლეობა ერთ დროს აქედან აყრილა, ხოლო ახალი შემდეგში გადმოსახლებულა ქართლის სხვადასხვა მხარიდან.

აქაური საბალახე ადგილები მებატონე ამილახვრის კუთვნილება ყოფილა, ტყე კი მაღალაშვილის.

მეტეხში დაცულია რამდენიმე ძველი ეკლესია: ღვთისმშობელი, ამაღლების ეკლესია, კვირაცხოველი და სხვა.

მეტეხის ღვთისმშობლის (მიძინების) ტაძარი, როგორც ცნობილია, აშენებულია მე-11—12 ს. ვ ა ხ უ შ ტ ი კი ამ ტაძრის აგებას მიაწერს ვახტანგ გორგასალს და ამბობს: „აქ მტკვრის კიდეს არს მონასტერი ყოვლადწმიდისა, გუმბათიანი, დიდი, მეტეხი, კეთილშენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო“[12].

შესაძლებელია მე-5 ს-ში, ვახტანგ გორგასლის დროს, ყოფილიყო ამავე ადგილას უფრო მომცრო და სხვა ტიპის ტაძარი, რომელიც შემდეგში გადაკეთდა თუ ხელახლა აშენდა დღევანდელი სახით, მეტეხის ეს დიდი ტაძარი.

როგორც ქვემონასტერში (მეტეხი), აქ იჯდა არქიმანდრიტი, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა კათალიკოსს.

ტაძარს აქვს ორი შესასვლელი კარი. დასავლეთის კარიბჭეზე გამოსახულია ღვთისმშობლის მიძინება (ბარელიეფი), შემკულია მცენარის ორნამენტოვან ჩუქურთმებით, ზედ კი მოთავსებულია ჩუქურთმიანი დიდი ჯვარი.

აღმოსავლეთის მხარეზე მოთავსებულია ჩუქურთმიანი ჯვარი (წნული) ქვეშ მტევნიანი ორი როზეტით.

---

[11] ეძვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, თბ., 1907, გვ. 159.

[12] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 56.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვეა ორი ნიში, რომლის თაღიანი წრე შემკულია კუწუბებიანი არშიით.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფასადზე ჩასმულია მოჩუქურთმებული დიდი ჯვარი, სარკმლის ჩარჩოებიც ჩუქურთმებით არის შემკული. სამხრეთის მხარეზე ჩატანებულია ქვაფიქალი ასომთავრული წარწერით, რომელშიც მავედრებელი მეტეხის ღვთისმშობელს შესთხოვს ორსავე ცხოვრებაში სულის დიდებას.

იქვე ტაძრის კედლის განახლებულ ნაწილში მხედრული წარწერაა, სადაც მოხსენებულია ტაძრის შემკეთებელი იოთამ ამილახვარი. ტაძარი შიგნით შეთეთრებულია და მხატვრობის კვალი არ ეტყობა.

წინათ ეკლესიას შემოვლებული ჰქონია მაღალი გალავანი ოთხი კოშკით. ახლა დარჩენილია ერთი კოშკი სამხრეთით. კოშკი ფორმით მრგვალი და სამსართულიანია. შემდეგ ამ კოშკზე დაუშენებიათ სამრეკლო.

მეორე კოშკის ქვედა სართული დაცულია დასავლეთის მხარეზე. ეს ციხე-გალავანი იცავდა მეტეხის ტაძარს და საშიშროების დროსაც მოსახლეობა მას აფარებდა თავს.

წინათ მტკვარზე ხიდი არ იყო, მეტეხელები მისდევდნენ მეტივეობას და ხალხიც ტივით გადაჰყავდათ. 1927 წელს ააგეს მეტეხის ხიდი და მეტივეობაც ისტორიას ჩაბარდა.

ჩ ო ჩ ე თ ი ახალქალაქიდან დაშორებულია ორი კილომეტრით. აქაურ გვარებში ყველაზე მეტია თოიძე და ნუგზარაშვილი.

თოიძე გადმოსულა გურიიდან, გადმოცემით ნუგზარაშვილებიც თოიძეები ყოფილან, მაგრამ მათ ჰყოლიათ ავი რძალი, რომელსაც მამამთილისათვის მუგუზალი უსვრია და ამ მეკომურს დარქმევია ნუგზარაშვილი (მუგუზალიდან). ჩოჩეთის მებატონე ყოფილა მაღალაშვილი.

აქ სამი მომცრო ტაძარია: წმ. მარინე, სამება და წმ. გიორგი. პირველი ორი დანგრეულია. ხოლო წმ. გიორგის ეკლესია დარბაზულია, ნაგებია ქვიტკირით. დასავლეთ კედელზე მომწვანო ქვაფიქალზე ამოჭრილია ასომთავრული წარწერა. შორიდან მოჩანს რამდენიმე ასო, რომელთა ამოკითხვა ვერ ხერხდება.

ეტყობა აქ უნდა ყოფილიყო ძველი ეკლესია, რომელიც დანგრეულია და მის ადგილას ახალი აუგიათ, ძველის წარწერიანი ქვები კი ახლის დასავლეთ კედელში ჩაუშენებიათ.

ჩოჩეთში დაცულია რიყისქვით ნაგები სასოფლო კოშკი, რომელიც ფორმით ოთხკუთხედია. კოშკი ხუთსართულიანია. სართულები ჩაქცეულია; მას არც სახურავი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართულების კედლებში დატანებულია სათოფურები, ზოგან ბუხარიც ყოფილა.

ამავე ჩოჩეთში სოფლის ბოლოს დაცულია მეორე კოშკიც, რომელიც უფრო სახლ-კოშკს წააგავს; მას უწოდებენ „ოსეფაანთ“



სურ. 1. ჩოჩეთის კოშკი

კოშკს, რადგან ოსეფა უმიკოვის მემკვიდრეებს ჰკუთვნებია. ამ კოშკის ისტორია არ იციან, არც მისი მეპატრონის თავგადასავალი. ჩანს ოსეფა უმიკოვს მამულიანად უყიდია ეს კოშკი აქაური მებატონისაგან. კოშკი კლდის ქვით არის ნაგები, ფორმით ოთხკუთხედია და კარგადაც არის დაცული, მხოლოდ სახურავი არა აქვს. კოშკი სამსართულიანია, კიბეც შიგვე აქვს გამართული და ადის ზემო სართულებში. იგი საკმაოდ მაღალია, აქვს თაღიანი ჭერი. კედლებში დატანებულია ნიშები, სათოფურები, სარკმლები და ბუხარიც. ყველა სართულს თავისი კარი აქვს. მისი ქვემო სართული მეპატრონეს საკუჭნაოდ გამოუყენებია.

ახალქალაქი მდებარეობს თეძმის ნაპირას; იგი საკმაოდ დიდი სოფელია. აქ არიან ძველთაგანვე გადმოსახლებული სომხებიც. როგორც ამბობენ, ერთი ჯგუფი სომხებისა ანისიდან გადმოუყვანია დავით აღმაშენებელს, უმეტესი მათგანი ვაჭრები ყოფილან. ეს ჯგუფი დასახლებულა სოფლის იმ უბანში, სადაც დღეს ციხე-გალავანი და ეკლესიაა. ესენი თავიანთ თავს უწოდებენ მოქალაქეებს (ქალაქელები ვართ, ანისიდან გადმოსულებიო).

მეორე ჯგუფი სომხებისა გადმოსულა განჯის მხარიდან: სკნაპატი და ზურნაბადიდან. მათ თურმე ავიწროებდნენ სპარსელები და თურქები, ამის გამო გადმოსახლებულან ახალქალაქში და თარხნიანთ ყმები გამხდარან. ისინი დასახლებულან ახალქალაქის ზემო მხარეზე და ამ უბანს ეწოდება სომხების უბანი ანუ სომხების ორღობე.

ახალქალაქი ძველად იყო ქალაქი; მე-12—13 საუკუნეში ახალქალაქი ერისთავთ ერისთავის კახას რეზიდენცია ყოფილა (იხ. ქრონიკები, II, გვ. 133). შემდეგ ეს ქალაქი მე-17 ს. პირველ ნახევარში ხელახლა აღუდგენია და განუახლებია ქართლის მეფე როსტომს, ამას მოწმობს დღემდე დაცული კედლის ერთი წარწერა.

აქ ყოფილა ღვთისმშობლის ძველი ეკლესია, რომელიც სიძველის გამო დაუშლიათ და მის ნაცვლად გალავნის გარეთ აუშენებიათ დღევანდელი სომხური ტიპის ტაძარი.

ეს ტაძარი აგებულია მე-18 ს. მის აღმოსავლეთის კედელზე ჩაუშენებიათ ძველი ეკლესიიდან ამოღებული წარწერიანი ქვა. წარწერა მხედრულია და ეკუთვნის მე-17 ს. პირველ ნახევარს. ქვაფიქალის ზედაპირი არ არის გათანგული და წარწერის ზოგი ასოები ძნელად იკითხება:

„მას ჟამსა ოდეს იჯდა ერან თურანსა ბედნიერი ყაენი — ქელმწიფე შაჰ-სეფი...სახელითა ღ(ვ)თ(ისა)თა ჩ(ენ)ს საქართ(ველ)ოს ქელმწიფის შვილმან მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩ(ენ)ს(ნ)მან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ ქელვჰყავით აღშენებად თეძამის პირსა ზედა ქალაქი და სახელი უწოდეთ მეფის ქალაქი და აღვაშენეთ საყდარნი და მონასტერი... ქალაქისა ამის მკვიდრობისა თჳს მეფისქალაქელთა სომეხთა ჩ(ენ)ს(ნ)თა სახასოთა ვაჭართა. ქ(ორ)ონიკონს ტ... თთუ(ს)ა აპრილს კდ.“[13].

---

[13] ქორონიკონის მეორე ასო ძნელი გასარკვევია, თვის რიცხვი კ(ა) არის 14. წარწერაში მოხსენებულია როსტომის მეუღლე მარიამ დედოფალი—დადიანის ასული, რომელიც როსტომს მითხოვდა 1634 წელს. ამის მიხედვით ეს წარწერაც სავარაუდებელია 1640—50 წლებში.

ამის ქვეშ მოთავსებულია ასეთივე ხელის მეორე წარწერაც: „გვაგონა და მოგუბახსენა ქალაქისა და საყდრისა ამის აღშენება კარისა ჩუენისა მდივანმან ყორღანაშვილმან მერაბ და ისი ვაღვაწეთ აღმშენებელად საყდრისა ამისა. ვინცა ჰსწირავდეთ მოიხსენებდნენ მერაბს ყოველნივე“[14].

ამ წარწერის მიხედვით[15] შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ უბანში მოსახლე სომხები, რომლებიც დღესაც იწოდებიან „მოქალაქეებად“ გადმოსახლებული არიან როსტომის მეფობისას (მე-17 ს.) და არა დავით აღმაშენებლის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველად ქართველები ვაჭრობას არ მისდევდნენ. ამის გამო ქართველ მეფეებს, ვაჭრობის განვითარების მიზნით, გადმოჰყავდათ ებრაელი და სომეხი ვაჭრები. მაგალითად, დავით აღმაშენებელმა ანისელი სომეხი ვაჭრები დაასახლა გორში და იგი ქალაქად აქცია. ლევან დადიანმა (მე-17 ს.) ჩხარიდან გადმოიყვანა სომეხი და ებრაელი ვაჭრები რუხში და იგი ქალაქად აქცია და სხვა.

აქაური ქართველების უმრავლესობას შეადგენენ მალაციძეები და პაპიძეები. მათ აქ იცოდნენ დღეობა „თევდორობა“. მლოცველები თავს იყრიდნენ თევდორეს ეკლესიაში და მას შესთხოვდნენ საქონლის გამრავლებას.

ახალქალაქის ცენტრში დარჩენილია ქვიტკირით ნაგები ძველი ციხე-გალავანი. გალავანი კვადრატული ფორმისაა. მისი სიმაღლე უდრის 6—7 მეტრს. აქვს ოთხი კოშკი, მათგან შედარებით კარგად დაცულია ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკი. ორი კოშკი თავმორღვეულია, მეოთხეზე კი სახლია მიშენებული.

გალავანს აქვს სათოფურები, ქონგურები კი დაშლილია. კოშკი სამსართულიანია, მისი სართულები და სახურავიც ჩაქცეულია. კოშკები მრგვალი და ჩვეულებრივი ტიპისაა. აქვს სათოფურები. შესაძლებელია ეს ციხე-გალავანი აშენებული იყოს როსტომ მეფის დროს, ქალაქის დაცვის მიზნით.

ნიაბი ახალქალაქიდან დაშორებულია ხუთი კილომეტრით. სოფელი გაშენებულია მაღლობზე, მისი მებატონე ყოფილა მალა-

---

[14] პლატონ იოსელიანის სიტყვით ეს წარწერა ყოფილა ცალკე, სომხური ეკლესიაზე. (იხ. მისი Эртацминдский храм, გვ. 92 შენიშვნაში). ეტყობა იქიდან გადმოუტანიათ და ამ ახლად აშენებულ ეკლესიის კედელში ჩაუსვამთ.

[15] ეს წარწერა პირველად ამოიკითხა და დაბეჭდა პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა. (იხ. მისი Города существующие и существовавшие в Грузии, Тб., 1850, გვ. 28; მისივე Жизнь Г. Саакадзе, გვ. 90—91 შენიშვნაში).

ლაშვილი. აქვეა სხერტის ჭალა, სადაც დიდი ბრძოლა გადაიხადა მეფე ლუარსაბ II 1609 წელს და სადაც გმირობით თავი ისახელეს გიორგი სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა. მათ მრავალი მეომარი ამოუწყვიტეს თათარხანს (ყირიმის ხანს) და მერე თვით იგიც შემუსრეს გორის ზემოთ, მტკვრის პირას.

ბრძოლის ამ ეპიზოდს ი. თბილელის პოემა „დიდმოურავიანში" გიორგი სააკაძე ასე მოგვითხრობს:

„ნიაბთ ბოლოს სხერტა ჰქვიან, არის რამე მცირე ჭალა;
ზაზას ვახლდი, იქ წინ დავხვდით, გული გვაქვს და მცირე ძალა.
ზაქარიას იარაღი მასთან მოსდევს, მოვლენ მალა
და მორწყულს ხნულში შემოცვივდეს, სისხლი მათი იქ
გამშრალა".

ნიაბში დაცულია ერთი დარბაზული ტიპის ძველი ეკლესია, რომელსაც უწოდებენ წმ. გიორგის. იგი ნაგებია ქვიტკირით, შიგნით და გარეთ მოპირკეთებულია რუხი ფერის თლილი ქვით. ჩრდილო ფასადზე, კართან ჩაშენებულია ქვაფიქალი, რომელზედაც ამოკვეთილია წრეში მოთავსებული ადამიანის წელზემო გამოსახულება, რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს წიგნი (სახარება), მარჯვენათი კი ჯვარს სახავს. მის გარშემო გამოსახულია ზემოთ ლომი, გვერდით ჯიხვი (თუ ხარი), ქვემოთ კამეჩი, მარჯვნივ—ბრტყელფოთლოვანი მცენარე (სიცოცხლის ხე). ამავე მხარეზე მკრთალი მხედრული წარწერაა, რომელიც ეკუთვნის ნიაბის ეკლესიის „მეორედ აღმშენებელს" (განმაახლებელს) ნიკოლოზ მაღალაძეს: „ქ:. ადამს: აქეთ: შვიდიათას: ასოთხმოცდა ათსა: აღვაშენე: მეორედ: საყდარი: ესე: ნიაბს: წმიდის: გიორგისა: მე მაღალაძემ: მღვდელ: მონაზონმან: ნიკოლოზ: შენდობა: ბრძანეთ: მამის: ჩემის: სახლსთხუცის პაპუასთვს და დედის: ელენესა. ქკ^ს ტო (—1682 წ.)[16].

ამ წარწერის მიხედვით ნიკოლოზ მაღალაძეს ეკლესია განუახლებია 1682 წ.

ეკლესიის შიგნით, კართან ჩატანებულია მოშავო ქვა გვიანი დროის ხუცური წარწერით. იგი მკრთალია და ძნელი ამოსაკითხი. წარწერა ტაძრის მშენებლისაა:

„სახელითა ღვთისათა და წმიდის გიორგისათა მე ბირთის (ბირთველის?) ძემან სადდ... (სადიდებლად) არსენი ქართლისა კ^ა... აღვაშენე ესე საყდარი".. და სხვა. ამ წარწერის პალეოგრაფიული ნიშ-

---

[16] ვ. ბერიძე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა მე-17—18 ს-ებში, საქართველოს მუზეუმის „მოამბე", ტ. XIV-B, თბ., 1947, გვ. 199, (შენიშვნა მეორე).

ნების მიხედვით ნიაბის ეკლესია აგებული უნდა იყოს მე-14 საუკუნეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ry. 410

3

გ ა რ ი ყ უ ლ ა. ვ ა ხ უ შ ტ ი ს თავის რუკაზე გარიყულას ადგილას აღნიშნული აქვს ფ ა ვ ნ ი ს ი, მას ფავნისი დასახელებული აქვს აგრეთვე თეძმის ხევის სოფლების ნუსხაში, მხოლოდ არა აქვს მოცემული მისი გეოგრაფიული აღწერა. სახელწოდება ფავნისი დღემდე შერჩენილი აქვს წმ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა ს, რომელსაც აქ უწოდებენ „ფავნისის წმ. გიორგის". სახელწოდება ფავნისი დაკავშირებული უნდა იყოს ფავნელთა გვართან, რომლისაგან შემდეგში წარმოიშვნენ ფავლენიშვილები.

1459 წ. მცხეთის სიგელში იხსენიება უჯარმელი ფ ა ვ ნ ე ლ ი[17]. ნიქოზის საყდრის შეწირულების ორ საბუთში (მე-16 ს.) იხსენიებიან: „ფავლენის შვილნი" და „ძენი მისთა ფავლენისა"[18]. ამ სამი საბუთის მიხედვით ჩანს, რომ ამ გვარისანი ამ დროს იწოდებოდნენ ფავნელისშვილებად. მათ საგვარეულო სამარხად, როგორც საბუთიდან ჩანს, ჯერ კიდევ მე-16 ს. ითვლებოდა ნიქოზის საყდარი. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მათ მფლობელობაში შედიოდა ფავნისი და მისი მიდამო. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ წინარეხის ეკლესიის კედლის წარწერაში მოხსენებულია თბილისის ეპისკოპოსი ბარნაბა ფავნელისშვილი, რომელსაც 1587 წელს განუახლებია წინარეხის ღვთისმშობლის ეკლესია[19].

შემდეგში, მტრების შემოსევების გამო, ეტყობა ძველი ფავნისი გახდა უკაცრიელი და მე-19 ს. დასაწყისში, როდესაც დაიწყო მისი ხელახლად დასახლება, მას ეწოდა გარიყულა.

ამ სოფელს გარიყულა იმიტომ დარქმევია, რომ იგი არის ფავნისის განაპირაზეო (გარიყული)—გადმოგვცემენ ადგილობრივნი.

არსებობს ასეთი თქმულებაც: აქ საძოვარზე ჩამოსულა ერთი ნეცხვარე თავისი ფარით. მოვარდნილა ადიდებული თეძმის წყალი, ეს ფარა ვაღმა გაურიყავს და ამ ადგილსაც „გარიყული" დარქმევიაო. ზოგის თქმით ეს ადგილი რიყიანიაო და ამის გამო ეს სახელი ეწოდაო.

აქაური მებატონეები იყვნენ თარხნიშვილები, რომლებიც გადმოსულან ნოსტედან. მთელი ნოსტე, გარიყულა, ახალქალაქი წარსულში მათ საკუთრებას შეადგენდა.

---

[17] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 272.

[18] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თმოგველთ გვარის ისტორიისათვის, თბ., 1913, გვ. 1—7.

[19] ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან კაკთურის ხეობაში 1923 წელს. (თბილისის უნივერსიტეტის „მოამბე", ტ. V, თბ., 1925, გვ. 131—133).

თავდაპირველად ნოსტედან აქ გადმოსულა დავით თარხნიშვილი, რომელსაც სახლი აუშენებია; შემდეგ ამ სახლზე მის შვილებს, ალექსანდრეს და კონსტანტინეს, დაუშენებიათ სპარსული სტილის სასახლე ე. წ. „მარშლიანთ სასახლე". დავითი ყოფილა გორის მაზრის თავადაზნაურების მარშალი და ამის გამო მის სასახლესაც ეს სახელი დარქმევია.

კონსტანტინე ყოფილა შემახიის და ბაქოს გენერალ-გუბერნატორი, ურთიერთობა ჰქონია ირანის შაჰთან, რომლის რჩევითა და დახმარებით დაუწყია სასახლის მშენებლობა. მშენებელი ხელოსნებიც კონსტანტინეს სპარსეთიდან მოუყვანია და ათი წლის მანძილზე ისინი ზაფხულობით მოდიოდნენ თურმე გარიყულაში და ხატავდნენ სასახლის კედლებს, ზამთრობით კი უკანვე ბრუნდებოდნენ.

მარშლიანთ სასახლის ზემო სართულის სამი ოთახი და აივანი (ვერანდა) სპარსულ სტილზეა გაფორმებული. ჭერი სარკითაა მოჭიქული, კედლები მოხატულია ვარდის კონებით და ბულბულებით, გარშემო მინებიანი არშიებით არის შემკული. მხატვრობა შესრულებულია მაღალი ხელოვნებით და წარმოადგენს სპარსული სტილის საუკეთესო ნიმუშს. სამწუხაროდ, მოუვლელობის გამო ამჟამად ეს სასახლე დაზიანებულია და მისი ძვირფასი მხატვრობა და მორთულობა ფუჭდება.

გარიყულაშივე საყურადღებოა დარბაზული ტიპის ეკლესია—ფავნისის წმ. გიორგი, რომელიც ქვიტკირითაა ნაგები. იგი შიგნით მოხატულია. კედლის მხატვრობა დაზიანებულია, საკურთხევლის ცაზე მკაფიოდ მოჩანს მჯდომარე მაცხოვარი, მამაკაცთა ფიგურები სხვადასხვა პოზებში, მხედრების პორტრეტები და სხვა.

მხატვრობა ძველია, შესრულებულია მაღალი ოსტატობით და დროის მიხედვით მიეკუთვნება საქართველოს ძლიერების ხანას, მე-11—12 საუკუნეს[20].

ახალციხე ახალქალაქიდან დაშორებულია 3 კილომეტრით. სოფელი კარგად არის ნაშენი, სახლები ქვიტკირისაა, მათი უმეტესობა ორსართულიანია. სოფელი დიდია, ცხოვრობს ორასამდე კომლი.

სოფელი ახალციხე ეტყობა ვახუშტის დროს არ ყოფილა, იგი მას არც სოფლებში და არც ნასოფლარებში არ იხსენიებს, არც რუკაზე აქვს აღნიშნული. უეჭველია, რომ მას ძველად სხვა სახელწოდება ექნებოდა, რომლის გარკვევა და დადგენა დღეს ძნელია.

მისი სახელწოდება—ახალციხე დარქმეულია გვიან, შეიძლება

---

[20] Н. И. Толмачевская, Фрески древней Грузии, გვ. 10—11.

ახალციხიდან (სამცხიდან) გადმოსახლებულებმა უწოდეს მას ეს სახელი. მართლაც აქაურების უმრავლესობა გადმოსულები არიან ახალციხის მხარიდან, როგორც მაგალითად: ბარნაველი, სვანიშვილი, მანძულაშვილი და სხვა.

ახალციხეში დაცულია რამდენიმე ძველი ეკლესია: კვირაცხოველი, ზედაჯვრის წმ. გიორგი, ორბეთის წმ. გიორგი, ოძისის მთავარანგელოზი, მუხაურის წმ. გიორგი და ივანე ნათლისმცემელი.

ამ ეკლესიების გარშემო ძველი ნასოფლარებია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახალციხე თავისი ციხე-გალავნით დიდი სოფელი იყო და დაყოფილი იყო ცალკე საგვარეულო უბნებად. ეკლესიები, თითქმის, ყველა დანგრეულია, დარჩენილია მხოლოდ მათი საძირკველი და თითო-ოროლა კედელი.

ოძისის მთავარანგელოზი დაბლობზეა აშენებული. აქ ყოფილა სოფ. ოძისი, მაგრამ ლეკიანობის გამო აქედან მოსახლეობა აყრილა და გაფანტულა. ოძისელების ნაწილი გადასულა ქსნის ხეობაში და დასახლებულა გაღმა ოძისში.

მუხაურის წმ. გიორგი პატარა, ერთნავიანი ქვიტკირის ნაგებობაა. მის გარშემო ნასოფლარია.

როგორც გადმოგვცემენ, ამ სოფელში ჭირნახული არ მოდიოდა, ადგილიც ურწყავი ყოფილა. ზამთრობით მოსახლეობა ხევში წყალს აგუბებდა და ზაფხულში ამ წყლით წისქვილს აბრუნებდნენ და ყანებსაც რწყავდნენ. თაგვსა და ხვლიკებს შეუწუხებია მოსახლეობა და ამიტომ აქედან აყრილან.

ამაზე ხალხური ლექსიც არსებობს:

აი მუხათო, მუხათო, აიყარენით, ნუ ხართო,
არც პური მოგდით, არც ქერი,
არცა წყალი გაქვთ უხვათო.

მოსახლეობა აქედან კახეთის მხარეს მუხათში (ვაშლოვანის მხარე) გადასახლებულა.

სოფლის თავზე, მაღალ ბორცვზე დგას ახალციხის ქვიტკირის ლამაზი ციხე-გალავანი. გალავნის კედლებში ჩაშენებულია ხუთი კოშკი. გალავანს აქვს სათოფურები.

ერთი კოშკი მოთავსებულია დასავლეთის შუა კედელში, ოთხი კი გალავნის კუთხეებში, მათ შორის სამი კოშკი ერთნაირი ფორმისაა, ორი კოშკი, რომელიც დასავლეთით არის, განსხვავებულია ფორმითა და ზომითაც. კოშკები სამსართულიანია. აქვს შესასვლელი კარი, სართულებში გამართულია ბუხარი, თახჩები და სარკმლები. გარშემო აქვს სათოფურები. აღმოსავლეთის მხრით ვალავანზე მი-

შენებული ყოფილა პატარა ეკლესია „კვირაცხოველი“, რომელიც ამჟამად დანგრეულია და მოჩანს მხოლოდ მისი საძირკველი.

გადმოცემით, ეს ციხე აუგია ბაქარ მეფეს (1717—1719 წწ.). ციხეს ჰქონია გვირაბი და ამ გვირაბიდან ეზიდებოდნენ წყაროს წყალს (ჩრდილოეთის მხარიდან).

ნ ო ს ტ ე ახალციხიდან დაშორებულია 3—4 კილომეტრით. სოფელი შეჯგუფულად არის დასახლებული. სახლები ქვიტკირისაა, ქალაქურ ყაიდაზეა ნაგები, კრამიტით დახურული და კარ-ფანჯრებით გამართული. მოსახლეობა სხვადასხვა გვარისაგან შედგება. მათი წინაპრები აქ მე-19 საუკუნეში გადმოსახლებულან. ძველი მოსახლეობა აქედან აყრილა; დარჩენილია მათი ნასოფლარი ადგილები.

ნოსტეს აღმოსავლეთით არის მთიულთ-უბანი, სადაც ცხოვრობენ არაგვის ხეობიდან გადმოსახლებული მთიულები. მთიულთ-უბნის ზემოთ არის ძველი ნასოფლარი, სადაც დარჩენილია ძველი ეკლესიის კედლები, რომელსაც ახაშენის წმ. გიორგის უწოდებენ. ჩრდილოეთით დაცულია ძველი ეკლესია ე. წ. ღებრის უბნის საყდარი. დღეს დარჩენილია მხოლოდ მისი კედლები. აქვეა ნასოფლარი და ძველი სასაფლაო, სადაც გვხვდება ქვაყუთისებური აკლდამები.

შიგ ნოსტეში არის ძველი ეკლესია, ე. წ. „სამება“. იგი დარბაზული ტიპისაა, ნაგებია ქვიტკირით; ამჟამად მისგან დარჩენილია მხოლოდ კედლები. სამების ეკლესიის მახლობლად გიორგი სააკაძის ნამოსახლარია, მისგან დღემდე დარჩენილია მხოლოდ ს ა ა კ ა ძ ი ს კ ო შ კ ი, რომელიც მთის ფერდობზეა აგებული. რევოლუციამდე გ. სააკაძის ნამოსახლარი შედარებით დაცული ყოფილა; მას ჰქონია მაღალი სათოფურებიანი გალავანი, რომლის კუთხეებში მოთავსებული ყოფილა კოშკები. დღევანდელი მაღალი კოშკი კი გალავნის შუაში იყო ამართული. ადგილობრივ მოხუცთა გადმოცემით გალავანში ყოფილა: სახაბაზო, თავლა, საჯინიბე, სასახლე და სხვა სათავსოები. გალავანში წყალი შედიოდა თიხის მილებით ჯანტლიკის წყაროდან, რომელიც ორი კილომეტრითაა დაშორებული გალავანს.

1917—1921 წწ. პერიოდში გლეხებს დაუნგრევიათ ეს გალავანი და ქვა გაუზიდიათ. დღეს მოჩანს შენობათა საძირკველი და ჩაქცეული ოთახები. პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ცნობით, ნოსტეს სასახლე მის დროს დაშლილი არ ყოფილა და გალავანშივე ყოფილა ორი ეკლესია, ერთი მათგანი—მოხატულიც[21].

---

[21] Пл. Иоселиани, Георгий Саакадзе, გვ. 19 (იხ. შენიშვნა).

როგორც ცნობილია, გ. სააკაძეს ნოსტეს სასახლეში ესტუმრა შეფე ლუარსაბ II, რომელსაც მასპინძელმა დიდი ნადიმი გაუმართა. ამ ნადიმს მოჰყვა ლუარსაბის მიერ სააკაძის დის შერთვა.

პლ. იოსელიანის გადმოცემით, ნოსტეს სტუმრებია შაჰ-აბასიც. შაჰის ნოსტეში ყოფნის აღსანიშნავად გ. სააკაძეს ნებართვა უთხოვია მისთვის, აღემართა ნოსტეში მარმარილოს სვეტი. შაჰ-აბასს ნე-



სურ. 2. გ. სააკაძის კოშკი ნოსტეში

ბა მიუცია და გ. სააკაძეს ათ დღეში დაუდგამს ნოსტეში ეს მარმარილოს სვეტი.

ათი დღის შემდეგ შაჰ-აბასს, ლუარსაბ მეფის თანხლებით, კვლავ გამოუვლია ნოსტეში, დაუთვალიერებია ეს სვეტი და სააკაძე უხვად დაუსაჩუქრებია. შემდეგში, როდესაც გ. სააკაძე შაჰ-აბასს განუდგა, მას თვითონვე დაუნგრევია ეს სვეტი[22].

[22] Пл. Иоселиани, Г. Саакадзе, გვ. 42—43.

დღეს ამ სასახლის მხოლოდ ერთი კოშკია დარჩენილი, რომელიც გადასცქერის ისტორიულ ნოსტეს მიდამოს. კოშკი ოთხსართულიანია, ფორმით ოთხკუთხედი და საკმაოდ მაღალი. იგი ნაგებია კლდის ქვით და დუღაბით. მას აქვს ერთი შესასვლელი კარი პირველ სართულში, მისი ჭერი და იატაკი ჩაქცეულია და ძნელია სართულების გეგმის დადგენა. კოშკს დატანებული აქვს სათოფურები და ოთხივე მხარეზე მიშენებულია ჩარდახი, საიდანაც ქვებს უშენდნენ კარზე მომდგარ მტერს; იგი გარედან შელესილია, ფორმით ლამაზია და სიმეტრიული.

ერთაწმინდა მაღლობზე გაშენებული მოზრდილი სოფელია და წარმოადგენს ქართლის ტიპიურ, შეჯგუფულად დასახლებულ სოფელს.

გვარების მიხედვით, აქაური მოსახლეობის უმრავლესობა გადმოსულები არიან ქართლის სხვადასხვა მხარიდან. გვარებში ყველაზე მეტია ნავროზაშვილები და ელისაბედაშვილები; თავდაპირველად ამ სოფელში დასახლებულა ბატკუაშვილი.

ბატკუაშვილის მებატონე ყოფილა აზნაური კარგარეთელი, რომლის წინაპარი ყარსიდან მოსულა. იგი მეფის კარს გარეთ მდგომი ყოფილა და მისი გვარიც აქედან წარმოშობილა.

ამ სოფელში დაცულია ერთაწმინდის ტაძარი, რომელიც მიეკუთვნება ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშს და დათარიღებულია მე-11—12 ს. იგი აგებულია წმ. ევსტაფის ანუ ესტატეს სახელზე. სოფლის სახელწოდებაც „ერთაწმინდა" წარმოშობილია ამავე წმინდანის სახელიდან. „ევსტა" ან „ესტა" წმინდა. აქედან წარმოქმნილია ერთაწმინდა.

ერთაწმინდის ტაძარი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. იგი ზოგადად აღწერილი აქვს მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძეს და პლატონ იოსელიანს[23].

ეკლესია ნაგებია ქვიტკირით და მოპირკეთებულია თლილი ქვით; მას აქვს ჯვრის ფორმა, რომელსაც ამშვენებს მაღალი და ლამაზად მოჩუქურთმებული გუმბათი. ტაძრის კარ-ფანჯრები და აღმოსავლეთის ფასადი შემკულია საუცხოო ჩუქურთმებით. აღმოსავლეთით გამოსახულია ცხენზე მჯდომი ესტატეს ბარელიეფი, რომელსაც ხელში მომართული აქვს მშვილდ-ისარი და ირემზე ნადირობს.

---

[23] Платон Иоселиани, Описание Эртацминдского храма (იხ. მისი Георгий Саакадзе, გვ. 89—122).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოცემით, ის ადგილი, სადაც ახლა ეკლესია დგას, ტყით ყოფილა დაფარული და ირმის ჯოგი თავისუფლად დადიოდა. ერთ-თათარი აქ ირემზე სანადიროდ მოსულა, მას მშვილდ-ისარი მოუმარჯვებია და ერთი ირემი ნიშანში ამოუღია, მაგრამ ამ დროს ირმის რქაზე ნათელი ჯვარი გამოსახულა. ამის დანახვაზე თათარი შეშინებულა, იარაღი ხელიდან გაუგდია და უთქვამს—ქრისტე მიწამებიაო. შემდეგ ეს თათარი მონადირე მონათლულა ესტატეს სახელით და მისთვის აქვე ეს ეკლესია აუშენებიათო, გადმოგვცემს ხალხური თქმულება.

ეკლესია შიგნით მოხატული ყოფილა, ახლა შეთეთრებულია; ძველი მხატვრობის მხოლოდ ორი ნიმუშიღა შერჩენია აღმოსავლეთ-სამხრეთის კუთხეში, კანკელთან.

ერთაწმინდის ეს ტაძარი 1610 წლიდან შევიდა დიდი მოურავის გიორგი სააკაძის მფლობელობაში და გადაიქცა მის შთამომავალთა საძვალედ (სასაფლაოდ). ისინი იმარხებოდნენ შიგ ეკლესიაში, სადაც მათი საფლავები დღემდე დაცულია. ეკლესიის ჩრდილოეთის კედელთან მოთავსებულია საფლავის ქვა მკრთალი მხედრული წარწერით: აქ ასაფლავია გიორგი სააკაძის შვილი პაატა, რომელიც შაჰ-აბასმა მოჰკლა სპარსეთში.

ერთ-ერთ საფლავზე დადებულ მარმარილოს ლოდზე აწერია: ქ: წარმავალისა: ამისა: საწუთროსაგან: გარდაცვალებულ: ვიქმენ: სიჭაბუკესა: ჩემსა: წლისა: ათცამეტისა: მონა: ღვთისა: დიდის: ორბელის: ძმის: ოთარის: ასული: როდამ: მყწ: მეუღლედ: ძე: დიდის: მოურავის: მამუკა: და: დავემკვიდრე: სამარხოსა: ამას: ეკლესიასა: ახოვანის: მოწამის: ევსტატესას: რათა: მეოხ: მეყოს: და: უფლისა: მოსვლასასა: ვინცა: იხილოთ: სამარხი: ესე: და: ტაძარი: ჩემგან: შემკული: მარტვილობა: ჩემი: შეიბრალეთ: და: შენდობა: ყავით: ჩემთვის: რათა: თქვენცა: მოგანიჭოს: ღმერთმან: შენდობა: ქკ^ს ტჟ: ნოემბერს: იბ: (=1710 წ.).

თარხნიშვილების საფლავის ქვებზე გამოსახულია მათი საგვარეულო ღერბი, რომელზედაც ამოკვეთილია შუბოსანი მხედარი (უნდა იყოს წმ. ესტატე), ირემი (რომელზედაც იგი ნადირობდა), იალქანი და კოშკი. ერთაწმინდა ძლიერ ხატად ითვლებოდა, მას შემოუდიოდა დიდძალი შესაწირავი და მდიდარი ეკლესიაც იყო. მის საგანძურში სხვათა შორის ინახებოდა შაჰ-აბასის ხმალი, რომლის ოქროს ვადა ძვირფასი თვლებით ყოფილა მოოჭვილი. ამაზე არსებობს ასეთი გადმოცემა:

ერთხელ შაჰ-აბასი გიორგი სააკაძის თანხლებით გორისაკენ მიდიოდა. შაჰმა შორიდან თვალი მოჰკრა ერთაწმინდის ტაძარს და გა-

მოკითხა სააკაძეს მისი მნიშვნელობის შესახებ. ბოროტი შაჰი შურით გაიმსჭვალა და ბრძანა მისი დანგრევა. სპარსელები მიესივნენ ტაძარს და დაიწყეს მისი გუმბათის მოშლა. ამ დროს შაჰ-აბასმა თურმე იგრძნო თვალის სინათლის დაკლება, რაც მას არასდროს დამართნია. შაჰს იქვე დასძინებია და ძილში მოსჩვენებია გოლიათი, რომელსაც მოუნდომებია მისი გულის შუბით განგმირვა.

შაჰის კარისკაცებმა ვერ შეძლეს სიზმრის ახსნა, მაშინ გიორგი სააკაძის ამალიდან გამოსულა ერთაწმინდელი მოხუცი და შაჰისათვის მოუხსენებია: თუ გნებავთ თვალის სინათლე დაიბრუნოთ, უბრძანეთ შეაჩერონ ერთაწმინდის ტაძრის დანგრევაო. ამასთანავე განუმარტა, რომ ის გოლიათი, რომელიც თქვენ ძილში მოგეჩვენათ, არის სასწაულთმოქმედი წმ. ესტატეო.

შაჰის ბრძანებით ტაძრის დანგრევა შეაჩერეს. მოხუცმა შაჰი შეიყვანა ტაძარში და უჩვენა ესტატეს ხატი. მის დანახვაზე შაჰს შეშინებია, უცვნია ის გოლიათი, რომელიც მან ძილში ნახა და წამოუძახნია: დიდ არს თქვენი წინასწარმეტყველიო (ე. ი. წმ. ესტატე). ამოუღია თავისი ხმალი, მისთვის მოუხსნია ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ვადა და ერთაწმინდის ტაძრისთვის შეუწირავსო.

1735 წელს ნადირ-შაჰმა თბილისში ყოფნისას გაიგო, რომ ერთაწმინდაში ინახებოდა შაჰ-აბასის ხმლის ვადა (ტარი) და მოინდომა მისი დათვალიერება. მასაც მიუბაძავს შაჰ-აბასისათვის და თავის მხრივ ტაძრისათვის უსუქებია 300 მარგალიტი, რომლითაც შეუმკიათ წმ. ესტატეს ხატი. ეს მარგალიტები ინახებოდა 1770 წლამდე. შემდეგ ის დაღესტნელ აბრაგებს გაუტაცნიათ.

რაც შეეხება შაჰ-აბასის ხმლის ძვირფას ვადას, იგი გაუტაცნიათ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, 1795 წ.[24].

ერთაწმინდის ტაძარს შემოვლებული აქვს ქვიტკირის გალავანი, რომელიც ახლა ნაწილობრივად დანგრეულია. ეს გალავანი მაღალი და კოშკებით გამაგრებული ყოფილა. კოშკ-გალავანი გამართული იყო თავდაცვისათვის. განსაკუთრებით მას თავს ესხმოდნენ დაღესტნელი აბრაგები, რომლებიც საეკლესიო ქონებას იტაცებდნენ.

ეკლესიის დღეობა—ერთაწმინდობა იცოდნენ 20 სექტემბერს (ძვ. სტ.) სალოცავად მოდიოდნენ ქართლ-კახეთის ყველა მხარიდან.

---

[24] Пл. Иоселиани, Эртацминда, 39—41.

თეძმის ხეობაში წმ. ესტატე[25] ძლიერ ხატად ითვლებოდა. შეთქმულთ აქ მოჰყავდათ კურატები, ყოჩები და მამლები. ხატს საკლავს იქვე დაუკლავდნენ, ღამეს ათევდნენ და სხვადასხვა რიტუალს ასრულებდნენ: ზოგი ეკლესიის გარშემო რამდენიმე წყება ბამბის ძაფს შემოარტყამდა (ღვთისმშობლის სარტყელი), უვლიდნენ გარშემო ფეხშიშველნი ზურნითა და გარმონით. ხატზე ჩამოკიდებდნენ ჯვრებს, თვალისკაკლებს და სხვა. ხატობას აქ იმართებოდა დიდი ბაზრობაც. დროს ატარებდნენ ცეკვა-თამაშში, ჭიდაობაში და სხვა.

ეკლესიის დასავლეთით მიშენებულია თაღიანი სათავსო, რომელსაც „მთავარანგელოზს" უწოდებენ. მის კედელში გამოჭრილია ოთხკუთხედი ხვრელი, რომელშიაც გაყრილი ყოფილა ჯაჭვი „დადიანური". ერთაწმინდობას აქ თურმე მოჰყავდათ სულით ავადმყოფები, რომლებიც ღამეს უთევდნენ. ავადმყოფს ჯაჭვით[26] შეკრავდნენ, სკამზე დასვამდნენ და ჯაჭვის ორივე ბოლოს კედელში გაუყრიდნენ. მეორე დღეს ავადმყოფს აუშვებდნენ, იგი ადგებოდა და თავისუფლად გაივლიდაო.

ერთაწმინდის ეზოში ბევრი ცარიელი ქვევრი აწყვია ე. წ. „საზედაშე".

ვისაც ერთაწმინდის მიზეზი გამოუვიდოდა და მას საზედაშეს შეუთქვამდა, იგი დათქმულ დროს საზედაშე ქვევრს ამოიღებდა და მიიტანდა ეკლესიაში, თან მოქონდა ღვინო „საზედაშე" და საწირსაკლავი. ეკლესიაში დაილოცებოდნენ და შემდეგ ქვევრს იქვე ტოვებდნენ.

ერთაწმინდას ეკუთვნის თეძმის ნაპირას მდებარე ორი კოშკი, რომლებსაც უწოდებენ ელისაბედაშვილების კოშკს. ელისაბედაშვილები ყოფილან ერთაწმინდის საეკლესიო ყმები, კოშკი და მის გარშემო მდებარე მამულებიც საეკლესიო ყოფილა. ორივე კოშკი ერთნაირია. კოშკი ნაგებია ქვიტკირით (კლდისა და რიყის ქვებით), ფორმით ორივე მრგვალია და სამსართულიანი. ზემო სართულში ასასვლელი კიბე შიგ კედელშივეა დატანებული. კოშკს აქვს ერთი შესასვლელი კარი. სართულებში დატანებულია სათოფურები, სარკმლები და სხვა.

ცხირეთი ერთაწმინდიდან 3—4 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. ეს ადგილი დავაკებულია. აქ არის განთქმული ციცი

---

[25] ევსტაფი (ესტატე) იყო რომაელი დიდებული, სახელმოხვეჭილი სარდალი, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა. ამის გამო იმპერატორ ადრიანეს დროს (117—138 წ.) იგი ჯაჭვებით შეკრეს და ისე აწამეს.

[26] ესტატეს მიბაძვით ჯაჭვს ტანზე შემოიკრავდნენ ან კისერზე დაიდებდნენ და ისე ატარებდნენ. ჩვეულებრივ ამ ჯაჭვით ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდნენ.

წყარო, ე. წ. „უ ს ტ ა რ ა უ ლ ი“, რომელიც ამოშენებულია ქვით. წყალი ძალზე ცივი, ანკარა და სასიამოვნო დასალევია. მისი სახელწოდება დაკავშირებულია უსტა და რაულთან, რომლებიც ძმები ყოფილან და აქ დაუხოციათ. გადმოცემით, უსტას საფლავი უპოვნიათ წყაროს ქვეშ, მისი ძვლები და ფიქალქვები ამოუყრიათ წყაროს გაფართოების დროს.

ამ წყაროს გარშემო, ცხირეთის ფერდობზე, ნასოფლარია, კარგად მოჩანს ჩაქცეული სახლების საძირკვლები. აქვეა ძველი ტაძრის ნანგრევი, ე. წ. პეტრეს უბანი (დაბლა ცხირეთი). დარჩენილია ეკლესიის მხოლოდ კედლები. ნაგები ყოფილა ქვიტკირით და მოპირკეთებული—ქვაფიქალით. იგი ერთ დროს მოხატულიც ყოფილა, საკურთხევლის კედელზე მოჩანს ფრესკის კონტურები.

ამ ეკლესიას, ნასოფლარსა და წყაროს ზემოდან გადმოცქერის ცხირეთის ციხე-გალავანი, რომლისაკენ გზა ადის წყაროს დასავლეთის მხარიდან. ცხირეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც მეფეთა საზაფხულო სადგომი, სადაც გრილი და ზომიერი ჰაერია. ამასთანავე, ცხირეთის ციხე-გალავანი მტრისათვის ძნელი მისადგომი იყო. ცხირეთში ხანგრძლივად იმყოფებოდა სვიმონ მეფე, რომელიც აქედან ებრძოდა თურქ აგრესორებს. ამის გამო ხალხი სვიმონ მეფის ციხეს უწოდებდა ცხირეთს.

ცხირეთის ასეთი მნიშვნელობა მტერმაც კარგად იცოდა და 1609 წელს ყირიმელმა თათრებმა განიზრახეს ციხის აღება და მეფე ლუარსაბის ხელში ჩაგდება. როგორც ცნობილია, ყირიმელმა თათრებმა კველთაში შეიპყრეს თევდორე მღვდელი და უბრძანეს ცხირეთში მიეყვანა ისინი. მაგრამ თევდორემ მათ გზა აუბნია, გიორგი სააკაძემ კი მეფე ტყვეობას გადაარჩინა და თათრებსაც მუსრი გაავლო.

იოსებ თბილელი თავის პოემაში ამაზე ასე მოგვითხრობს:

„კველთას თევდორე შეიპყრეს, მცოდნე და კარგი მღვდელია;
ლახტითა სცემდეს: „წაგვიძეხ, გზა რომელ გარდამსვლელია?
ერთაწმინდაზე ჩაუძღვა, გზა ჩავლო ქვენადრისანი;
ცხირეთზე დიაღ შორს დარჩა, მხარი ვლო სხვის სამძღვრისანი,
მღვდელს თავი გააგდებინეს, წამებით სისხლთა ღვრისანი,
მეფე ცხირეთს ბრძანდებოდა უგრძნაულად, მოსვენებით,
მეც გვერც ვახლდი, იგ მწყალობდა სიკეთით და თავის ნებით;
გარდმოვხედე, სულ მოიცვეს დაბლა მხარი, ვიქმენ ვებით,
და გულსა უთხარ: „მე ქართველნი მათ შევაბა კაის ცნებით!“

(დიდმოურავიანი, გვ. 7—8).

ეს ისტორიული ადგილი დღეს მხოლოდ ნანგრევს წარმოადგენს, სადაც მრავალი ნასახლარი ადგილებია.

ცხირეთის ციხის გალავანს უჭირავს საკმაოდ დიდი ფართობი, მისი კედელი მაღალია და კლდის ქვით ნაგები. კედლებში გამართულია სათოფურები. კოშკები არა აქვს. აღმოსავლეთის მხარეზე ცხირეთი მიუდგომელია, აქვს მაღალი კლდე, რომელშიაც დიდი გამოქვაბულიც არის. შიგ გალავანში დარჩენილია სხვადასხვა საცხოვრებელი შენობებისა და სათავსოების საძირკველი.

ციხეს აკრავს ტყით შემოსილი მაღალი მთები. ციხის მახლობლად პატარა სოფელია—ცხავერი.

ზ ე ნ ა დ რ ი ს ი მაღალ ქედზე გაშენებული პატარა სოფელია. აქ ცხოვრობენ გორის რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან გადმოსული ოსები.

აქვეა რამდენიმე ძველი ნასოფლარი, სადაც დარჩენილია მათი ძველი ეკლესიები: ზენა დრისის წმ. გიორგი, ბარბარე და მეხის ეკლესია.

მ ე ხ ი ს ეკლესია არის მდ. თეძმის ნაპირას, იგი მოცულობით პატარაა, ქვიტკირით ნაგები, რომელიც თითქმის დაშლილია. აქ საალოცავად მოდიოდნენ მეხისაგან დაზარალებულები. ზოგჯერ მოჰყავდათ მეხდაცემულებიც. ავადმყოფს სამჯერ შემოატარებდნენ ეკლესიის გარშემო და შესთხოვდნენ განკურნებას. როგორც ამაზე ვ ა ხ უ შ ტ ი მოგვითხრობს, ეკლესიის გარშემო ნასახლარი ქვენა დრისი უნდა იყოს.

აქვეა დ რ ი ს ი ს ძველი ციხე, რომელიც აგებულია მაღალ კლდეზე. ამ ციხეს ვ ა ხ უ შ ტ ი ასე აგვიწერს: „ერთაწმიდის დასავლით არს ც ი ხ ე დ რ ი ს ა, მაღალს კლდესა ზედა, მაგარი, მდინარესა ზედა თეძმისასა“-ო (გვ. 56). ციხე მაღალ კლდიდან გადმოსცქერის თეძმის ხეობას და ლამაზ სანახაობას წარმოადგენს.

ციხე ქვიტკირით არის ნაგები. დასავლეთით შემოზღუდული ყოფილა ორმაგი კოშკოვანი გალავნით (დანგრეულია). ეტყობა აქედან უნდა ყოფილიყო ციხეში შესასვლელი. ციხის აღმოსავლეთის მხარე შედარებით კარგად არის შემონახული, იგი მაღალ ქედზეა და მიუდგომელია. ამავე მხარეზეა ოთხკუთხედი ფორმის საყარაულო კოშკი, ეკლესია და ორი კოშკის კედელი.

ჩრდილოეთის მხარეზე დგას მაღალი კვადრატული ფორმის კოშკი. მისი პირველი სართული დახურულია და ბნელი. მეორე სართულს გარშემო სათოფურები აქვს. მესამე სართულს აქვს თაღიანი ჭერი, ორი სარკმელი და ერთი კარი სამხრეთით.

ამ კოშკიდან ეკლესიამდე მიდის ვიწრო დერეფანი, რომლის კედელში დატანებულია სათოფურები. ეკლესიის მეორე კარიდან გასასვლელია ციხის სამხრეთ ნაწილში.

ციხის ეკლესია ძველია, ქვიტკირით ნაგები. შიგნით და გარეთ მოპირკეთებულია ჩოფურა, მოცისფრო ქვით. იატაკის ქვეშ ღრმა ორმოა (ჭისებური), რომელიც ხორბლის შესანახი ბეღელი უნდა ყოფილიყო.

ციხის სამხრეთი მხარე გადასცქერის თეძმის ხეობას. ეს მხარე კლდოვანია, მაღალი და მიუდგომელი. ამ მხარეზე ოთხკუთხედი ფორმის დიდი ნაგებობაა, რომელიც საცხოვრებელი ბინა უნდა ყოფილიყო; დარჩენილია მისი სამი სართული. შიგ გამართულია ბუხარი, თახჩები, სარკმლები და სათოფურები. დასავლეთის მხარეზე დაცულია სათოფურებიანი ზედა გალავანი, რომელიც ეკლესიას აკრავს. მას დასავლეთითაც აკრავს გალავანი და ეზოში შემოსასვლელი კოშკოვანი კარი.

დრისის ამ ციხეს უწოდებენ ჯავახიანთ ციხეს. დრისი და მისი ზემო მხარე ეკუთვნოდა ჯავახიშვილებს და ეს ციხე იცავდა მათ სამფლობელოს მტრებისაგან.

დრისიდან გზა მიდის რ კ ო ნ შ ი, საიდანაც ძველი მოსახლეობა ლეკიანობის გამო აყრილა. ახლა აქ ცხოვრობენ არაგვის ხეობიდან გადმოსახლებული მთიულები.

დარჩენილია ძველი ნასოფლარი ადგილებიც, სადაც პოულობენ ქვევრებს, ქვიტკირით ნაგებ საწნახელებს და სხვა, რაც აშკარად მოწმობს, რომ რკონის მიდამოში ძველად ვაზი ხარობდა. ამავე მიდამოში დაცულია რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი: რკონის ღვთისმშობელი (მონასტერი), წმ. სვიმონის ეკლესია, წმ. გიორგის ეკლესია და ბარნაბიანთ საყდარი.

რ კ ო ნ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი სოფლიდან მოშორებულია ორი კილომეტრით. იგი მდებარეობს თეძმის ნაპირას, ადგილმდებარეობა ლამაზია, დაფარულია ხატის ტყით. რკონის მონასტერს ვახუშტი ასე აგვიწერს: „ზემოთ, თეძმის მდინარესა ზედა, არს კრკონს მონასტერი გუმბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუვალ ადგილს. აქ არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იყტვიან ვერცხლსაცა, ზის წინამძღვარი. აქამომდე არის თეძამი ხილითა ნაყოფიერი“-ო (გვ. 56).

რკონის ეს მონასტერი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, აგებულია მე-7[27] საუკუნეში და იგი დიდი პატივითა და სახელით სარგებლობდა ძველ საქართველოში.

---

[27] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 198—203.

ამ მონასტერს საკმაოდ დიდი მამულებიც ჰქონდა და დიდძალი შემოწირულებანიც შემოსდიოდა. როგორც მოხსენებული იყო, ცნობილია კახა ერისთავთ ერისთავის მიერ 1259 წელს ბოძებული სიგელი, რომლითაც იგი სოფელ ხოვლეს[28] რკონის მონასტერს სწირავს.



სურ. 3. რკონის ტაძრის ფასადი

ეს მონასტერი შედიოდა მებატონე ჯავახიშვილების სამფლობელოში და ამ საგვარეულოს მთავარ სალოცავადაც ითვლებოდა. მონასტერი ამ ხეობაში საქრისტიანო კულტურის ერთ-ერთ მნიშვ-

[28] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 132—145.

ნელოვან კერად იყო მიჩნეული. იგი კეთილმოწყობილიც ყოფილა, რასაც მოწმობენ დღემდე დარჩენილი ნაშთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტერი შემოზღუდული ყოფილა მაღალი ქვიტკირის გალავნით, რომლის ნაწილი დღესაც დარჩენილია. გალავანს შესასვლელი ჰქონია აღმოსავლეთის მხარეზე, საიდანაც ვიწრო გზა შედიოდა მონასტერში. ეს მხარე გამაგრებული ყოფილა კოშკით, რომლის ქვემო სართული ახლაც დაცულია. კოშკი კვადრატულია, აქვს სათოფურები, იგი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო.

მთავარი ეკლესია—ღვთისმშობლის სახელობისა და იქვე ახლოს მდებარე ნათლისმცემლის ტაძარი—ნაგებია ხელოვნურ ტერასაზე, აღმოსავლეთ-სამხრეთით უვლის მდ. თეძამი, რომლის ნაპირი აქ ამოშენებულია ქვიტკირის კედლით. ღვთისმშობლის ტაძარი დიდია, ფორმით სამნავიანია, ნაგებია თლილი ქვით, გადახურულია ქვაფიქალით. ეკლესიის კარიბჭე შემკულია ჩუქურთმებით და როზეტებით. ტაძარს აქვს თაღიანი დიდი სვეტები, რომლებზედაც დაყრდნობილია მისი შუა ნავი. შიგ ის მოხატულიც ყოფილა, მხატვრობა წაშლილია, ნაწილი შერჩენილია მხოლოდ სამკვეთლოში. სამხრეთის სამკვეთლოში გამოსახულია კტიტორი, რომელსაც ხელში უჭირავს ტაძრის მოდელი.

ამ ტაძრის სამხრეთით არის მეორე ეკლესია—ნათლისმცემელი, იგიც ისეთივე ტიპისაა, როგორიც მთავარი ტაძარი. მისი ჩუქურთმები და წნულებიც ისეთივეა. შესასვლელი კარის სახურავის თავზე ადგია ვერძის თავის ქანდაკება. მონასტრის ეზოში მოთავსებულია: ბერების სენაკები და სხვადასხვა სათავსოები. სენაკების ნაწილი დაშლილია; ურევია ორსართულიანებიც, რომლებსაც ჰერში გამოჭრილი აქვს ერდო (შუქისათვის). შედარებით კარგადაა დაცული ორი დარბაზული ტიპის სადგომი. ერთია ეკლესიის შესასვლელში. დარბაზი ნაგებია ქვიტკირით, აქვს სარკმლები და შესასვლელი კარი. გადახურულია ქვის კრამიტით. დარბაზის სახურავზე აღმოსავლეთით დგას ყოჩის ქანდაკება, რომელიც მწოლიარე პოზაშია და რქები დახვეული აქვს. მეორე ასეთივე ტიპის დარბაზი დგას შუა ეზოში. იგი ორსართულიანია. ქვემო სარდაფია, ზემოთ საცხოვრებელი ოთახები, ერთი გრძელია და საკმაოდ განივრი.

შუა ეზოში დგას ოთხკუთხედი (კოშკისებური) შენობა, რომელიც კლდის დიდი ლოდებით არის ნაგები და ციკლოპურის შთაბეჭდილებას სტოვებს. ეტყობა, ეს უნდა იყოს ყველაზე ძველი ნაგებობა. დარჩენილია მისი პირველი და მეორე სართული.

მონასტრის სამრეკლო ქვიტკირისა ყოფილა (დარჩენილია მისი საძირკველი), შემდეგ იგი დანგრეულა და ზედ დაუშენებიათ კარის სამრეკლო, რომელიც სვეტებიანია და კარგი ნაგებიც არის, გარედან მოჭიქული უნდა ყოფილიყო, შერჩენილი აქვს მისი ცისფერი ფრაგმენტები.

ღვთისმშობლის ტაძარს აქვს სარდაფები და აკლდამები, სადაც იმარხებოდნენ მონასტრის ბერები.

სურ. 4. რკონის ქვახიდა

მონასტერს თავისი ხიდიც ჰქონია თეძამზე, რომელიც ახლაც მოქმედებს. მას უწოდებენ „ქ ვ ა ხ ი დ ა“-ს. ქვიტკირის ეს ხიდი კარგად არის ნაგები, მაღალთაღოვანია, მისი განი უდრის 1,50 მ.

ასეთივე ტიპის ძველი ნახიდარის ნაშთები თეძმის მიდამოში ბევრი შემონახულა, რომლებსაც უწოდებენ „ქვახიდა“-ს.

თეძმის ხეობაში რკონის ღვთისმშობელი ყველაზე დიდი სალოცავი იყო. დღეობა იცოდნენ მარიამობას, 28 (15) აგვისტოს და სალოცავად მოდიოდნენ ქართლის ყველა მხარიდან. მლოცავები მოდიოდნენ ჩარდახიანი ურმებით და დგებოდნენ ღამისთევად, თან მოჰყავდათ საკლავები (კურატი, ცხვარი, ქათამი) მოჰქონდათ საწირი (ქადები, არაყი, სანთლები და სხვა). მლოცავი ეკლესიას გარშემო ფეხშიშველი უვლიდა, რამდენიმე წყება ბამბის ძაფს შემოარტყამდა მას და თან ეგედრებოდა სიმრთელეს და ყოველგვარ სიკეთეს.

მოჰყავდათ აგრეთვე სულით ავადმყოფებიც, რომელთა განკურნებას შეავედრებდნენ რკონის ღვთისმშობელს.

რკონის მონასტრის სამხრეთით, თეძმის გაღმა ერთი პატარა ეკლესიაა, რომელსაც უწოდებენ წმ. სვიმონს. ეკლესია პატარაა და ტყით არის დაფარული.

ხალხური გადმოცემით, თათრის ლაშქარი რკონის მონასტერს არბევდა თურმე, თათრის ბელადი ერთ ვიღაც სვიმონს რკონიდან ნიშანში ამოუღია და მოუკლავს. იმ ადგილას, სადაც ეს მოხდა, გმირი სვიმონის პატივსაცემად, ეკლესია აუგიათ.

რკონის მონასტრის გზაზე, (სოფლიდან მონასტრამდე), თეძმის ნაპირას, სოფლის თავზე არის წმ. გიორგის ნიში, რომელშიც ჩატანებულია ტერფის გამოსახულების ქვა ე. წ. წმ. გიორგის ნაქოშარი. ხალხური გადმოცემით, ეს არის წმ. გიორგის ქოშის ნაფეხური. ვინც რკონის ღვთისმშობელში სალოცავად ვერ მიდიოდა, აქ უნდა შეჩერებულიყო, სანთლები დაენთო და დაელოცა.

ამავე გზაზე, მონასტრის მახლობლად, ტყეში დგას დიდი ცაცხვი, რომელსაც ტანი და ტოტები შეტრუსული აქვს დანთებული სანთლებისაგან. ცაცხვის ძირში მიყუდებულია ფიქალქვა, რომელიც ვიღაც მალაციძეს სოფ. ქონდარაანთიდან (თეძმის ხეობა) მოუტანია. მალაციძე ავად გამხდარა და ეს ქვა შეუწირავს რკონის ღვთისმშობლისათვის.

ქვაზე უხეშად გამოსახულია ტოტებგაშლილი ხე. მარცხნივ აწერია „ცაცხვის წმინდა გიორგის ხე". მარჯვნივ გამოსახულია ქალის ფიგურა, რომელსაც ხელში უჭირავს ქოლგა[29] და აწერია: „დედა ღვთისმშობელი". ამ ქვახატს გარშემო აწერია: „ჩრდილოეთითგან რაც წყალი დაიღება, აქეთა სამხრეთით ორჯოს ქედიდგან ამო-

---

[29] ეს ქვასატი და მასთან დაკავშირებული რიტუალი აღწერილი აქვს ვ. ლომიას (ბარდაველიძე). ტექსტის ამოკითხვაში დაშვებულია შეცდომები, გამოსახულების აღწერაში კი ქოლგის ნაცვლად ხმალი აქვს დასახელებული (იხ. მისი „ხის კულტისათვის საქართველოში", საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, 1926, გვ. 164—178).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლეთით სამაჭალოს წყლამდისინ თავისა რკონისა ღვთისმშობელსაა, ისაკა მალაციძე".

რკონის ღვთისმშობელში მიმავალი მლოცავები, როდესაც ამ ცაცხვთან გაივლიდნენ, დადგებოდნენ, სანთლებს დაუნთებდნენ და დაილოცებოდნენ. ვისაც შეთქმული ჰქონდა, მას აქ მოჰყავდა ბავშვები, ალოცებდნენ და პირველად შეკრეჭილ ბავშვის თმასაც აქვე სტოვებდნენ.

რკონის ამ დიდ ცაცხვს უწოდებენ ჯავახიანთ ცაცხვს. ეს ცაცხვი იყო მათ სამფლობელოში, ამ ცაცხვზე ყოფილა დასვენებული მათი ხატიც. ცაცხვი გაზრდილა და ეს ხატი შიგ დაუტანია. ამბობენ, რომ რამდენი მამაკაცი ჯავახიშვილი მოკვდებოდა, ამ ხეს იმდენი ტოტი ჩამოტყდებოდა, დაბადების შემთხვევაში კი ცაცხვს ახალი ტოტი გამოებმოდაო.

რკონში არის შესანიშნავი ციხე-გალავანი, რომელიც აგებულია მთის ფერდობზე და გადასცქერის ორ ხეობას თეძამსა და სამაჭალოს. გალავანი დიდია, მას უკავია დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი. იგი მაღალია, ქვიტკირით ნაგებია და დღემდე კარგადაც არის შემონახული. გალავანს აქვს ორი შესასვლელი კარი: ერთი დასავლეთით, მეორე ჩრდილოეთით. გალავნის კედლის სიმაღლე ზოგან ხუთ მეტრამდე აღწევს. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში გალავნის კედელზე მიშენებულია ოთახი, რომელშიც გამართულია ბუხარი და სარკმლები. გალავანს აქვს სათოფურები, კედელშივე გამოყვანილია საყარაულო ნიშნები. დასავლეთის მხარეზე მოთავსებულია დიდი ორმო-ხარო ჭირნახულის შესანახად. გალავანშივე მოთავსებულია საცხოვრებელი ბინები და სხვადასხვა სათავსოები, აქვეა ძველი ეკლესია წმ. გიორგი, რომელიც თლილი ქვით არის მოპირკეთებული. ეკლესია ყოფილა მოხატულიც, რომლის ფრაგმენტები შერჩენილია ფანჯრებთან.

ციხე-გალავნის ზემოთ, მაღალ მთის წვერზე, ნახევარ კილომეტრის დაშორებით საყარაულო კოშკია, დარჩენილია მისი პირველი და მეორე სართული. მას აქვს შესასვლელი კარი და სათოფურები.

მტრის გამოჩენისას ამ საყარაულო კოშკის თავზე ცეცხლს დაანთებდნენ და ამის დანახვისას ხალხი თავდასაცავად შეიხიზნებოდა გალავანში.

გალავნის კედლები გარედან გამაგრებულია ბურჯებით. გალავნის ნაგებობის სიმტკიცე, სივრცე და მონუმენტალობა აშკარად მოწმობს, რომ რკონის მოსახლეობა ყოფილა მრავალრიცხოვანი და

შეძლებულიც, რომელმაც შეძლო ასეთი დიდი ტევადობის თავდაცვითი ნაგებობის მშენებლობა.

სავალალოა, რომ ასეთი საყურადღებო თავდაცვითი ნაგებობა დღემდე არ არის ჯეროვნად შესწავლილი და გამოკვლეული.

ი კ ვ ი რკონიდან დაშორებულია 3—4 კილომეტრით. იგი ძველი ნასოფლარია. დღეს აქ ცხოვრობს რამდენიმე კომლი, არაგვის ხეობიდან გადმოსული მთიულები.

იკვში დაცულია შესანიშნავი ძველი ტაძარი წმ. გიორგის სახელობისა. ეკლესია დაბლობზეა, შავწყალას ნაპირას. მას აქვს მაღალი, მრგვალი და ლამაზი ჩუქურთმებით შემკული გუმბათი. ტაძრის კარ-ფანჯრები და ნიშებიც მოჩუქურთმებულია. ტაძარი შიგნით მოხატულია, რომლის ნაწილი დაზიანებულია; კარგად შემონახულა ჩრდილოეთის მხარის ფრესკული მხატვრობა. გამოსახულია სცენა ბავშვის დაკარგვისა, რომელსაც იპოვის და მშობლებს მიუყვანს წმ. გიორგი.

მხატვრობა მაღალი ხელოვნებითაა შესრულებული და მიეკუთვნება მე-11 საუკუნეს[30].

ეკლესია შემოზღუდული ყოფილა ქვიტკირის გალავნით, რომლის ნაწილი ახლაც დაცულია.

ჩ ა ჩ უ ბ ე თ ი ძველი ნასოფლარია. აქ გადმოსახლებულან მთიულები არაგვის ხეობიდან. სოფელი პატარაა და მდებარეობს მაღლობზე. მთიულებს ეს ადგილი იჯარით ჰქონიათ აღებული ჯავახიშვილებისაგან, რომლებსაც სოფელი წლიურად უხდიდა 250 მანეთს ე. წ. „მახტას“. ამ თანხას სოფლის მეკომურები ინაწილებდნენ ადგილ-მამულის რაოდენობის მიხედვით და ამის კვალობაზე იხდიდნენ.

ამავე სოფელში დაცულია დარბაზული ტიპის, კლდის ქვით ნაგები, ღვთისმშობლის ძველი ეკლესია, რომელსაც ჩუქურთმებით შემკული ქვის კანკელი ჰქონია. დარჩენილია მისი ქვედა ნაწილი.

ეკლესია მოხატული ყოფილა და ნიაღვარს ჩამოურეცხია. მხატვრობა შერჩენილია სამხრეთის კართან. ამავე მხარეზეა ასომთავრული წარწერების ფრაგმენტებიც.

ამ ეკლესიის ზემოთ არის ნასახლარი ადგილები, რომელსაც „ილეთს“ უწოდებენ. ეს უნდა იყოს ვ ა ხ უ შ ტ ი ს მიხედვით ძველი „მ ე ლ ე თ ი“.

ფ ი ც ე ს ი გაშენებულია მაღალ გორაკზე. ესეც ძველი ნასოფლარია. აქ გადმოსახლებულან ოსები ლიახვის ხეობიდან.

---

[30] Н. И. Толмачевская, Фрески древней Грузии, вз. 11.

სოფელი სარგებლობდა საყანე მიწებით, ტყითა და საძოვრებით. ამისათვის თითოეული მეკომური მებატონეს წლიურად აძლევდა „მახტას“ 25 მანეთამდე.

ფიცესის სოფლის თავზე დარჩენილია ძველი ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც „თ უ თ რ “ს უწოდებენ (წმ. თევდორე). თევდორობას ასრულებდნენ დიდმარხვაში, გაზაფხულზე, სანამ სამუშაოზე



სურ. 5. იკვის პორტალი

გავიდოდნენ. ამისათვის ადუღებდნენ ლუდსა და ბურახს, თან სათესლე ხორბალსაც მიიტანდნენ თევდორეში და კარგ მოსავალზე დაილოცებდნენ. დასასრულს ხორბლის ნაწილს იქვე დაყრიდნენ, ნაწილს კი შინ წამოიღებდნენ და სათესლეში გაურევდნენ. ზოგი კი, ვისაც მეტი მამული ჰქონდა, ააღუღებდა ორი კოდის ჭირნახუ-

ლის ლუდს—„სამღვთო“-ს, მიიტანდა თევდორეში, ხალხს შეასმევ-და და დაალოცვინებდა ჭირნახულის კარგ მოსავალზე.

აქვეა საორბისის ეკლესია (წმ. გიორგი), რომელიც აგებულია მაღალ ქედზე და გადაჰყურებს თეძმის ხეობას. ეკლესია დარბაზულია, მოპირკეთებულია თლილი ქვით. მისი სარკმლის ჩარჩო შემკულია ლამაზი ჩუქურთმებით. აღმოსავლეთის მხარეზე, მოჩუქურთმებული სარკმლის ზემოთ ჩასმულია ქვაფიქალი, რომელზედაც ლამაზი ხელით ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა:

„ქ. წმინდაო გიორგი, შეიწყალე ერისთავთ-ერისთავი კახაჲ და შვილნი მათნი და დაიცევ. სოფელი მიწაჲ მათი მოსავე შენი და მაშენებელი ტაძრისა შენისა.

ქორონიკონი იყო ტჲიბ (372)=1152 წ[31].

ამ წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ საორბისის ეს ეკლესია აუშენებია 1152 წელს კახა ერისთავთ ერისთავს, რომლის ვინაობა ჯერ დადგენილი არ არის.

საორბისის ეკლესია მოხატული ყოფილა, მხატვრობა წაშლილია, შერჩენილია მხოლოდ ორი ფიგურა აღმოსავლეთის ფანჯრის თაღიან ჩარჩოზე. ეკლესიას ჰქონია ქვის კანკელი, რომელიც ახლა დამლილია და იქვე ალაგია. კანკელის ქვების ჩუქურთმები ლამაზად არის შესრულებული. ეკლესიას აკრავს მაღალი გალავანი, რომელიც ნაგებია დიდი ლოდებით. გალავანში და შიგნით ეკლესიაშიც ყრია ირმისა და ყოჩის რქები, საზედაშე ქვევრები, თეთრი და წითელი „ხატის დროშები“ და სხვა.

აქ ხატობა ცოდნიათ 7 მაისს (გიორგობა) და ბევრი მლოცავი მოდიოდა თურმე ქართლის ყველა მხარიდან. მოჰყავდათ საკლავები: კურატები, ცხვრები და აგრეთვე „ზვარა“ (მამლები). მლოცავი დგებოდა ღამისთევად. ზოგჯერ მოჰყავდათ სულით ავადმყოფები და ბნედიანები, რომლებსაც ალოცებდნენ საორბისის წმ. გიორგის. ღღეობაში იმართებოდა ჭიდაობა, ბურთაობა, ცხენების ჯირითი და სხვა.

ფიცესში არის გერის წმ. გიორგის ნიშიც, რომელიც მაღალ მთის წვერზეა და აქედან გასცქერის თავგერის ეკლესიას. სალოცავადაც მიდიოდნენ გერში (ქართლშია, სოფ. ვანათთან):

---

31 საორბისის ეკლესია აღწერილი აქვს პროფ. გ. ჩუბინაშვილს: „Саорбисская церковь“, ჟურნ. „Христианский Восток“, ტ. IV, вып. II, СПБ, 1915, გვ. 180—190, იქვეა მისი ილუსტრაციები და წარწერები.

„იმ შემთხვევაში, თუ ბნედიანსა და სულით ავადმყოფს საორ-
ბისის წმ. გიორგი არ უშველიდა, მაშინ ფიცესიდან ავადმყოფი მიჰ-
ყავდათ თავგერში[32]. ხალხური ცრუმორწმუნეობით გერი ითვლე-
ბოდა სულით ავადმყოფების, ბნედიანებისა, მუნჯებისა და დახუ-
თულების მკურნალ ღვთაებად. მათი რწმენით ამგვარი ავადმყოფები
გერის დამიზეზებით ეშმაკებისაგან იყვნენ შეპყრობილი. ამიტომ
ისინი სალოცავად გერში მიყავდათ. სულით ავადმყოფს გერში
კლდეზე თავდალმა დაჰკიდებდნენ თურმე, მას მუხლებზე მნათე
ხელს მოჰკიდებდა და ეტყოდა: „სთქვი, შენი ეშმაკის ცოლის სახე-
ლი-“ო. ეშმაკის შიშით ავადმყოფი დუმდა თურმე და არ პასუხობ-
და. მაშინ მას ხანჯლებითა და თოფის სროლით აშინებდნენ, რომ
ეთქვა მისი ეშმაკის სახელი.

ეშმაკები ამ დროს ავადმყოფს თითქოს ჩასჩურჩულებდნენ: არ
გატყდე, სახელი არ თქვა, ნუ შეგეშინდება ჩამოვარდნისა, ჩვენ აქა
ვართ და გიშველითო.

ბოლოს ავადმყოფს მაგრად სცემდნენ და ატირებული დაიძა-
ხებდაო: სალუმხან, კატუშხან, ქეთუშხან, ტარუშხან და სხვა.

მნათე ავადმყოფს მაინც არ ეშვებოდა და ეტყოდა: „სთქვი ქალ-
კუდიანის ქმრის სახელიო“. სულით ავადმყოფი დაიძახებდა: ილის-
ხან, ზელიმხან, გელიხან და სხვა. შემდეგ ავადმყოფს კლდიდან
ამოიყვანდნენ, თოკს შეხსნიდნენ და თავისუფლად გაივლიდა; ავად-
მყოფი რჩებოდა და შინ ბრუნდებოდაო.

ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ან წ ი თ ე ლ წ ყ ა რ ო. ეს სოფელი
რკონიდან 7—8 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელი მაღლობზეა,
მას ჩამოუდის მდინარე ვიცხა. აქ არის ძველი ეკლესიის ნანგრევი,
რომელსაც უწოდებენ „თ უ თ რ ა“-ს—წმ. თევდორე. ეკლესია ნაგე-
ბია დიდი ლოდებით. შიგნით მოხატული ყოფილა, ფრესკების კონ-
ტურები შერჩენილია დასავლეთის კედელზე. კარგად მოჩანს მხედა-
რი თეთრი გიორგი, გველეშაპის შემმუსვრელი.

თევდორობას აქ ლოცულობდნენ და მას შესთხოვდნენ კარგ
დარობას, მოსავლის სიუხვესა და საქონლის გამრავლებას. ავდრის
შემთხვევაში თხოვდენ გამოდარებას (ტაროსს).

---

[32] გერისთობა ქართლში იწყებოდა 15 აგვისტოს და გრძელდებოდა სამი კვი-
რა. იგი ძლიერ ხატად ითვლებოდა და იქ სალოცავად მიდიოდნენ ქართლ-კა-
ხეთის ყველა მხარიდან. ქართული გერი და მისგან წარმოშობილი ოსური
„ჯერ“ ან „ჯგერ“ იგივეა, რაც სვანური „ჯერაგ“ და მეგრული „ჯეგე“, რაც
ნიშნავს გიორგის ან ჯეგე გიორგის (წმ. გიორგი). ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ჯეგე-
მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1928, გვ. 19—20.

მეორე ძველი ეკლესია არის ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი. იგი დარბაზული ტიპისაა და ნაგებია თლილი ქვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სარკმლები მოჩუქურთმებულია. ეკლესიის კარის თავ ლამაზად არის მოჩუქურთმებული ხვეული ორნამენტებით, შიგვე უზის ჩუქურთმიანი ჯვარი. კარის მარჯვენა მხარეზე ჩასმულია ეკლესიის მოდელი, მარცხენაზე კი ლომის ქანდაკება (თავითა და წინა ფეხებით). სამხრეთის ფასადზე ჩასმულია ქვაფიქალი, რომელზედაც ამოკვეთილია შვიდი ბწკარი ასომთავრული წარწერა. ქვა ჩოფურაა და ასოები გარკვევით არ მოჩანს. წარწერა ეკუთვნის ეკლესიის მშენებელს: „სახელითა უფლისათა შეწევნითა ნათლისმცემლისათა... მიწაჲ, რომლითა ფასითა ავაშენეთ ეკლესიაჲ სრულითა...“

ეკლესიასთან ჩამოკიდებულია ზარი. გადმოცემის მიხედვით, როდესაც სოფელს სეტყვა ან დიდი ავდარი მოუახლოვდებოდა, ზარებს დარეკავდნენ და ავდარი სხვა სოფელში გადადიოდაო.

ს ა მ ა ჭ ა ლ ო მდებარეობს სამაჭალოს ხევის პირას. ესეც ძველი ნასოფლარია. ახლა ცხოვრობენ მთიულები. პირველად აქ დასახლებულა გუდამაყრელი აფციაური. გუდამაყარში დიდი ბეგრობა ყოფილა, აფციაურს იქიდან ცხვარი აქ გადმოუყვანია საძოვრად და აქვე დასახლებულა. მებატონე ჯავახიშვილს ქალი მიუთხოვებია ჩოჩეთელ მაღალაშვილისათვის და მზითევში სამაჭალო მიუცია.

აქ არის ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ი ს ნ ი შ ი და წმ. გიორგის ეკლესია. ეკლესია ძველია, აგებულია მაღალ გორაკზე. დარჩენილია მხოლოდ კედლები. ეკლესია მოხატული ყოფილა. მის სამხრეთის კედელზე კარგად მოჩანს წმ. გიორგის კონტურები, რომელიც ცხენზე ზის და ხელშუბით გველეშაპს გმირავს.

სამაჭალოდან ორი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ნასოფლარი თ ე კ ნ ე ლ ა, სადაც დაცულია ძველი ქვიტკირის ეკლესია, ნასოფლარი დაფარულია ტყით. ეკლესია მოხატული ყოფილა. გარშემო ნამოსახლარია, ეტყობა, წარსულში საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა.

ხ ო ვ ლ ე ს წარსული დაკავშირებულია თეძმის ხეობასთან. ეს სოფელი, როგორც აღვნიშნეთ, კახა ერისთავთ ერისთავს თავისი საფასით უყიდია და შეუწირავს რკონის მონასტრისათვის. ეს სიგელი დაწერილია 1259 წელს და თანახმად ამ სიგელისა სოფელი ხოვლე შეადგენდა რკონის საკუთრებას[33]. შემდეგში აქ გადმოსახლებულან თეძმის ხეობის მფლობელნი—ჯავახიშვილების გვარი. ამის გამო საჭიროა ზოგადად გავეცნოთ სოფელ ხოვლეს.

---

[33] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 132—145.

ხოვლე[34] დიდი სოფელია, სადაც ბევრი ნასოფლარი ადგილებია. აქაური გვარები გადმოსულები არიან საქართველოს სხვადასხვა მხარიდან. პირველად ხოვლეში დასახლებულა ბიჭიკაშვილი, შემდეგ სხვა გვარებიც გადმოსულან, რადგანაც ხოვლეში ყოფილა მაგარი ციხე-გალავანი და შიშიანობის დროს ახლომახლო სოფლის მოსახლეობა თავს აქ აფარებდა.

ხოვლეს მებატონეები იყვნენ ჯავახიშვილები, მათი რიცხვი არ აღემატებოდა ათ მეკომურს. ისინი არ ყოფილან მკაცრი მებატონენი, ყმები მათ აძლევდნენ ღალას, კარგი მოსავლიდან ერთ მესამედს, ცუდიდან ერთ მეოთხედს ან მეხუთედს.

შუა სოფელში დაცულია ძველი ციხე-გალავნის ნაწილი; მთლიანად შენახულია მისი ერთი კოშკი, რომელზედაც აგურის სამრეკლო დაუშენებიათ. კოშკს აქვს მრგვალი ფორმა და სამსართულიანია. სართულებში გამართულია ბუხარი, სარკმლები და სათოფურები.

მეორე კოშკიც ასეთივე ტიპისაა, თავმორღვეულია და ნაწილობრივად დაშლილი, დანარჩენი მესამე და მეოთხე კოშკის საძირკველიღა მოჩანს. გალავნის საძირკველიც კარგად ეტყობა. გალავანში ყოფილა ორი ეკლესია: ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლისა.

ხოვლეს მოსახლეობა შიშიანობის დროს ამ ციხე-გალავანში იხიზნებოდა და აქედან ებრძოდა კარზე მომდგარ მტერს.

ხოვლეში ბევრი ეკლესიები ყოფილა, ეტყობა სოფელი უბნებად იყო დაყოფილი და თითოეული უბნის საგვარეულოს თავისი სამლოცველო-ეკლესია ჰქონია.

1. მაცხოვარი
2. კვირიკე წმინდა
3. თევდორე
4. ისციხის წმ. გიორგი
5. ავკეთის წმ. გიორგი
6. ღვთისმშობელი
7. ნათლისმცემელი
8. პეტრე-პავლე
9. წმ. მარინე
10. წმ. ნინო
11. ნინიანთ წმ. გიორგი
12. კვართის ეკლესია

ყველა ესენი თითქმის დანგრეულა 1920 წ. მიწისძვრის დროს.

ხოვლეს დასავლეთით არის ადგილი „დუბე“, რომელიც წარმოადგენს ტაფობს, შეიძლება იყოს ნატბევი: მას აკრავს ქედი, რომლის

---

[34] ხოვლე საყურადღებოა არქეოლოგიური აღმოჩენებით, რომლებიც მიგვუთვნებიან კულტურის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს, დაწყებული ენეოლითიდან—ადრე ანტიკურით დამთავრებული. ხოვლეში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი 1954 წლიდან.

ფერდობზე დარჩენილია ეკლესიის ნანგრევი—„მაცხოვარი“. აქვეა ძველი სასაფლაო, რომელსაც აკრავს „სანიორეს მთები“, ახლა უწოდებენ „გაღმა ხოვლეს“. ამის მახლობლად არის „კ ვ ა რ თ ი ს კ ო შ კ ი“, რომელიც ნაგებია კლდის ქვით, ფორმით ოთხკუთხედია და ხუთსართულიანი. სართულებს აქვს შესასვლელი კარი საკედურებით, შიგ გამართულია ბუხარი, თახჩები, სარკმლები და სათოფურები. ციხის კედელი გარუჯულია, ხის ნაწილები კი ცეცხლისაგან დამწვარი.

ხალხის გადმოცემით, შიშიანობის დროს ამ უბნის მოსახლეობა ამ კოშკში იხიზნებოდა.

აქვეა სასაფლაო და პატარა ეკლესია კ ვ ა რ თ ი ს ა[35], რომელიც ნაგებია რიყისქვით. აქ გაზაფხულზე იცოდნენ ხატობა—„კვართობა“. კვართის ზემოთ არის „ნინიანთ ეკლესია“ (წმ. გიორგი). იგი ნაგებია თლილი ქვით; მოხატულიც ყოფილა, მაგრამ მხატვრობა შერჩენია მხოლოდ ჩრდილო კედელზე. აქ მოჩანს სამი წმინდანის სილუეტი.

„ნ ა კ ა ლ ო ვ ა რ ი ს“ საყდარი ეკუთვნის ხუციშვილებს, რომლებიც აქედან აყრილან და ხოვლეში გასულან.

ამბობენ, რომ დაღესტნელ აბრაგებს ხალხი აქ კალოსავით გაულეწიათ და ამის გამო ამ ადგილს დარქმევია ნაკალოვარი.

კ ვ ი რ ი კ ა წ მ ი ნ დ ი ს ეკლესია დაშლილია. ერთ დროს ის მოხატულიც ყოფილა; მოჩანს ზოგი წმინდანის სახეები.

— · —

ს ა ფ ლ ა ვ ი ს ქ ვ ე ბ ი წარმოადგენენ მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლს ხალხური შემოქმედების გასაცნობად. საფლავის ქვებს თეძმის ხეობაში ამზადებენ სოფ. თეძამში და ჭყოპიანაში. აქაური ქვა კარგი ხარისხისაა, გამძლეა და ამიტომ საფლავის ქვა ე. წ. „კუბო“ და მატერი ძვირადაც ფასობს.

საფლავის ქვის წარწერა მიაქვს შემკვეთს, მასვე ეკითხება გაფორმებაც და ამის მიხედვით ოსტატი ამზადებს საფლავის ქვას.

თეძმის ხეობის საფლავის ქვებზე კარგად არის ასახული მიცვალებულის პროფესია, მისი საყვარელი ნივთები, ორნამენტიკა და სხვა.

საფლავის ქვებზე უმეტესად გამოსახულია მეტივე და გუთნისდედა გუთნეულით. მეტივეები ტივითა და ორთაყვირით ახასიათებს

---

[35] სახელწოდება კვართა და „კვართობა“ დაკავშირებული უნდა იყოს ქრისტეს კვართთან (პერანგი), რომელიც საეკლესიო ლეგენდის მიხედვით დაფლულია მცხეთაში.

სოფ. მეტეხის საფლავის ქვებს. სანამ მეტეხის ხიდი აიგებოდა აქაურები ეწეოდნენ მეტივეობას და ეს კარგად არის ასახული აქაური საფლავის ქვებზე; გამოსახულია აგრეთვე დურგალი თავისი ხელსაწყო იარაღით, მეცხვარე, გუთნეული, ვაჭარი სასწორით და სხვა. კარგად არის აგრეთვე გადმოცემული ტიპები, ტანთჩაცმულობა და სახმარი ინვენტარი.

საფლავის ქვებზე ამოჭრილია ამგვარი სახის ეპიტაფიები:

სიკვდილმა შემომირბინა,
აღარც კი კითხა სხვასაო,
ჩემი ოთხ-ოთხი ობოლი
გადააბარა დასაო;



სურ. 6. მეტივეს საფლავის ქვა

რომელმაც შრომა შესწირა
რძალს და საყვარელ ძმასაო,
მაგრამ შავბნელი სიკვდილი,
გადაეღობა გზასაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვკვდი წაველ მე გულხელდაკრეფილი,
ის თან წამყვა, რაც დავთესე კეთილი;
სულ შინ დამრჩა განძი რამ შეკრეფილი;
ცხონებულო სანდალო, ვპოვე სასურველი.

გ. სანდალა ამიერეზაშვილი ქიტას ძე 1940 წ. 5 სექტემბერსა ვიყავი 65 წ.

სოფ. ფაშიანი.

— . —

რა ცბიერი ხარ, სიკვდილო,
რა ძლიერი გაქვს ძალაო;

სურ. 7. მხედრის საფლავის ქვა



სურ. 8. გუთნეული საფლავის ქვაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოლ-ქმარი მოგვსპე ერთ კვირას,
შვილებს დაეცი დანაო;
ჯერ ხომ არ მქონდა სურვილი,
შავბნელი სამარისაო,
სანამ დავზრდიდი შვილებსა,
მეცოცხლა მანამდისაო.
შე, უსამართლო სიკვდილო,
რა უდროოდ მიმხე,
მამშორე ჩემ ოთხ შვილსა;
მათთან ველარ გავიხარე,
შენ გეხვეწები, უფალო.
ვინძლო კარგად შემინახო.

ბ. ქაბატო გოგნიაშვილი ქიტას ასული 1932 წელი. 5 აპრილი.
ვიყავი 35 წ.

სოფ. კაპრაშიანი.



სურ. 9. გუთნისდედის საფლავის ქვა

უბედურმა სიკვდილმა რა უდროოთ მიგო მახე;
წუთი სოფელს მომაშორა, შავ მიწაში დავიმარხე;

ვიყავ ობლად; ქალ, გიყვარდა დიდი ლხინია;
უყვარდი ჩემსა დედასა, რო გვყანდი ერთი შვილია;
მაგრამ უწყალო სიკვდილმა მომაშორა დედასა,
ყველამ შენდობა მაღირსეთ, წამკითხველო ამისა.

ბარბარე ასული ივანე ხარატაშვილისა
ახალციხე.

— · —

ზაქარია ვიყავ ლექსების მანქანა,
საცა ხალხში მივდიოდი სულ ლექსებით ვაცინებდი,
კეთილ სიტყვებით ვამბობდი, არავის დავცინოდი.
ზაქარია ბარნოვი მიხეილისძე დაიბ. 1843 წ. გ. 1938 წ. ხელოსანი.
ახალციხე.

— · —

შე, ოხერო სიკვდილო,
რა უდროთ მიგე მახე,
მომაშორე ტკბილ გვირგვინსა,
სიხარული ვერა ვნახე.
სახლი დამრჩა ცრემლით სავსე,
მდუღარებით დავიმარხე.

გ. 1935 წ. გიორგობისთვის 10.
ანნა ფარნიაშვილი გრიგოლის მეუღლე.
რკონი.

შრომა-საქმიანობა

ოქტომბრის რევოლუციამდე თემის ხეობის ადგილ-მამულები ეკუთვნოდა მემამულეებს—თარხნიშვილებსა და ჯავახიშვილებს. უმიწაწყლოდ დარჩენილი მშრომელი გლეხობა იძულებული იყო საღალოდ დაემუშავებინა მემამულის მიწები. მოსავლიდან უნდა მიეცა მემამულისათვის ნახევარი ან მესამედი. ტყე, საძოვარი და სარწყავი რუ მებატონის განკარგულებაში იყო; მის ნებადაურთველად და ფასგადაუხდელად გლეხობას არ შეეძლო სარგებლობა.

აქაური გლეხობა ძირითადად მემინდვრეობას, ნაწილობრივად მევენახეობა-მებაღეობას მისდევდა.

მემამულეები სრულებით არ ზრუნავდნენ მეურნეობის გაუმჯობესებაზე და გლეხობაც პრიმიტიული იარაღებით ამუშავებდა მიწებს. ამ მხრივ ის უმწეო იყო, მისი ნაშრომის მოსავლიანობა დამოკიდებული იყო ბუნების მოვლენების ავკარგიანობაზე.

მიწას ხნავდნენ რამდენიმე ყევარი ხარებშებმული ხის გუთნით. თესვას რომ მორჩებოდნენ, გადაიხდიდნენ „საღვთო“-ს და კარგ მოსავალზე ილოცებოდნენ. ჯეჯილი რომ ამოვიდოდა, გლეხი ახლა იმაზე ფიქრობდა როგორმე დაეცვა იგი გვალვისაგან, თუ ავდრისაგან. თუ გვალვას დაიჭერდა აწყობდნენ „ლ ა ზ ა რ ო ბ ა“-ს. აიღებდნენ ჯოხს, გაუკეთებდნენ მას ადამიანის სახეს, ბავშვის ტანსაცმელს ჩააცვამდნენ და სოფელში ჩამოატარებდნენ შემდეგი სიმღერით:

„ლაზარ მოდგა კარსაო, აბრიალებს თვალსაო,
მიდგა-მოდგა თარასაო, დაემსგავსა მთვარესაო,
თხრილი აგორებულაო, აღარ გვინდა გოროხიო,
ღმერთო, შენის დიდებითა ახლა მოგვეც ტალახიო.
ჩვენო წმინდა ელიაო, შენ რას მოგიწყენიაო,
ერთი თხა და ციკანიო შენთვის მოგვირთმევიაო“.

ოჯახის პატრონი გამოვიდოდა და ლაზარეს წყალს გადაასხამდა, ამაზე ყველანი დაიძახებდნენ: „აღარ გვინდა გორახიო, ღმერთო, მოგვე ტალახიო“.

იცოდნენ აგრეთვე გუთნის წყალში გათრევა. ამ მიზნით ქალები გუთანს წყალში გაიტანდნენ. ზოგი გუთანს შეებმებოდა, ერთი მეხრედ გაუძღვებოდა, მეორე გუთნისდედად მიჰყვებოდა. გუთანს რამდენჯერმე წყალში გააატარებდნენ, ერთმანეთს წუწავდნენ და იძახოდნენ: „წვიმა მოვიდაო“.

მაგრამ წვიმა რომ სეტყვა-ქუხილით არ მოსულიყო, ამისათვის მიმართავდნენ ელიას და სთხოვდნენ ყანები დაეცვა სეტყვისაგან. ციკანს დაუკლავდნენ და საღვთოს გადაუხდიდნენ.

ყანა რომ დაპურდებოდა, მას ჩიტები კენკავდნენ და ანადგურებდნენ, ახლა ამის წინააღმდეგ უნდა ეზრუნა ცრუმორწმუნე გლეხს: იგი ასრულებდა „ჩ ი ტ ა ფ ა ფ ა ო ს“; გააკეთებდნენ ფაფას, სადმე მაღლობზე შედგამდნენ და იტყოდნენ: ჩიტებო, ფაფა ჭამეთ, ჩვენს ყანებს დაეხსენითო. ფაფას შედგამდნენ სოროში და იქვე იტყოდნენ: თაგვებო, მოშორდით ჩვენ ყანებსო.

ასე ვაი-ვაგლახით მოყვანილი ჭირნახულის გალეწვას რომ შეუდგებოდნენ გლეხები, კალოზე მიადგებოდა მემამულე და მოითხოვდა თავის ღალას. შემდეგ ესტუმრებოდა მღვდელი და ისიც დრამაში პურს მოითხოვდა და კიდევ ვინ იცის რამდენი მოვალე გამოუჩნდებოდა.

აქაური გლეხობა მისდევდა მესაქონლეობასაც, მაგრამ ეს დარგიც მეტად ჩამორჩენილი იყო, არ არსებობდა მისი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები. იმდროინდელ სოფელში არ იყო ვეტ-

ექიმი, რომ რაიმე დახმარება გაეწია ანდა რჩევა-დარიგება მიეცა გლეხისათვის პირუტყვის სწორი მოვლის მიზნით. ცრუმორწმუნე გლეხი ისევ წმინდანებს მიმართავდა. ამ მხრივ გლეხს თავის მფარველად მიაჩნდა წმ. თევდორე, რომლის ხატთან მიჰქონდა საწირ-სანთელი და შესთხოვდა მას საქონლის გამრავლებასა და ყოველგვარ ჭირისაგან დაცვას.

დღეს აქაური გლეხობა გათავისუფლებულია, როგორც მებატონეებისაგან, აგრეთვე ყოველგვარ ცრუმორწმუნეობისაგანაც.

თეძმის ხეობის მშრომელი გლეხობა გაერთიანებულია კოლმეურნეობებში და ძირითადად მემინდვრეობასა და მესაქონლეობას ეწევიან.

ამ ხეობაში რამდენიმე კოლმეურნეობაა. მათ შორის ყველაზე მოწინავეა მეტეხის კოლმეურნეობა. თავთავიან კულტურებიდან ითესება პური და ქერი, მოჰყავთ ჭარხალიც. ნაწილობრივად ეწევიან მევენახეობასა და მებაღეობას. შრომა და შრომის იარაღები მექანიზებულია. ჭარხლის გასათოხნად იყენებენ კულტივატორებს. მუშაობს სატრაქტორო ბრიგადა; პურს იღებენ კომბაინებით.

კოლმეურნეობებში მუშაობენ გამოცდილი აგრონომები და აგროტექნიკოსები, რომლებიც კოლმეურნეებს ეხმარებიან სათესლის შერჩევაში, თესლის ცვლაში, მიწის დამუშავების ტექნიკაში და სხვა.

მეცხოველეობაც საგრძნობლად გაუმჯობესებულ პირობებშია. აქაურ კოლმეურნეობებში ამ მხრით გამოირჩევა განსაკუთრებით რკონის კოლმეურნეობა, რომელსაც ხელს უწყობს იქაური ზამთრის კარგი საძოვრები. აქაური მესაქონლეობის ფერმებში ყველაზე მოწინავეა მეტეხის ფერმა, სადაც ყველაფერი მექანიზებულია და ამზადებენ კარგი ხარისხის რძის ნაწარმს.

ფერმებში არიან გამოცდილი ვეტექიმები და ზოოტექნიკოსები, მათი ხელმძღვანელობით აქაური კოლმეურნეები სანიმუშოდ უვლიან მეწველ საქონელს. მათ უკვე აღარ ესაჭიროებათ „წმ. თევდორე". თუ გაუჭირდათ, საშუალება აქვთ მიმართონ ვეტექიმს და მიიღონ სათანადო დახმარება დაავადებული საქონლის მოსარჩენად.

საკოლმეურნეო მშენებლობამ და ეკონომიურმა წარმატებებმა ძირფესვიანად გარდაქმნა აქაური სოფლის მოსახლეობის ყოფაცხოვრებაც. ძველებური ბანიანი და დარბაზული ტიპის სახლებს აქ უკვე ვეღარ იპოვნით. შეგხვდებათ ორსართულიანი სახლებიც. ოთახები მოწყობილი აქვთ კულტურულად, სუფთად და შეძლებულადაც ცხოვრობენ.

სოფლის გზები და წყაროებიც კეთილმოწყობილია, მოძრაობენ ავტომანქანები, ძველებურ ხარ-ეკამეჩიან ურემს იშვიათად თუ შე-

ხვდება ადამიანი. ცხენის ნაცვლად მოგზაურობენ ველოსიპედებით და სხვა ავტოტრანსპორტით. იცვამენ ქალაქურად, ევროპულ მოდელებზე შეკერილ ტანისამოსს. იშვიათად შეგხვდებათ ჩიხტიკოპით თავდახურული და ისიც თუ მოხუცი მანდილოსანია.

სოფლები ელექტროფიცირებულია. ძველი ჭრაქები და ლამპები შესცვალეს ელნათურებმა.

შეიცვალა ძველი ადათ-ჩვეულებანი და მასთან დაკავშირებული ცრუმორწმუნეობანი, რომელსაც ბოლო მოუღო სწავლა-განათლების გავრცელებამ.

ამ ხეობაში არის სამი საშუალო სკოლა (მეტეხში, სასირეთში და ახალქალაქში), სამი რვაწლიანი და ხუთი დაწყებითი სკოლა. ყველგან არის სამკითხველო და კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკები (ახალქალაქში, ერთაწმინდაში, მეტეხში და სხვა). მთელი აქაური ახალგაზრდობა ამ სკოლებისა და სამკითხველოების ხელისშეწყობით ეწაფება სწავლა-განათლებას. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ძველი და მავნე ადათ-ჩვეულებების აღმოფხვრას.

მაგალითისათვის აქ მოკლედ შევეხებით აქაური ქორწილისა, მშობიარობისა და ტირილის იმ წესებს, რომელსაც ასრულებდნენ რევოლუციამდელ პერიოდში. ერთმანეთის მოწონებით და სიყვარულით გათხოვება თუ ცოლის შერთვა წინათ არ შეიძლებოდა. ეს საქმე ეკითხებოდა მშობლებსა და მაჭანკალს (შუამავალს). სასიძოს და საპატარძლოს ირჩევდნენ მაჭანკლით. ნიშნობისას მოჰქონდათ ბე (50—500 მ), რომლისაგან პატარძალი მზითევს იმზადებდა. ქორწილი ინიშნებოდა შემოდგომით. ამ დღისათვის აცხობდნენ ე. წ. „ჯვრის პურს“, რომელიც მეჯვარეს უნდა გამოესყიდა. აცხობდნენ აგრეთვე „იახტანის“ ლავაშსაც.

ჯვრისწერა უმეტეს შემთხვევაში პატარძლის სოფელში ხდებოდა, შემდეგ მაყრებს პატარძალი მიჰყავდათ ნეფისას. დედოფალს გააყოლებდნენ იმდენივე მაყარს, რამდენიც ნეფეს ჰყავდა მოგზავნილი და აგრეთვე „მდადე“ ქალსაც, რომელსაც თვალი უნდა სჭეროდა პატარძალზე.

როდესაც მაყრიონი ვაქის სახლს მიუახლოვდებოდა, ერთი მაყართაგანი დაწინაურდებოდა,—მახარობელი—შევიდოდა ეზოში და დაიძახებდა:

მე ვარ მახარობელი
გულის გამხარებელი,
მიჭამია მგალი,
ამიხვიეთ მხარი.

ფალს კარებში შეასმევდნენ ტკბილს, შემდეგ დასვამდნენ სუფრასთან, დალოცავდნენ და ასაჩუქრებდნენ.

ნეფეს საჩუქრად მიართმევდნენ „ჩირაღდანს“. ქორწილის სუფრას შემოუსხდებოდა მაყრიონი და დაიწყებოდა სმა და ლხინი.

მეორე დილას მაყრებს ქათმებს უფრენდნენ, მაყრები თოფით ხოცავდნენ ქათმებს. ნეფის მაყრებს მკაცრად ეკიდებოდნენ, იჭერდნენ და სათითაოდ ხეზე მიაბამდნენ. ნეფის დედას მაყარი ძღვნის მიტანით უნდა დაეხსნა. ქალის მაყრებს გოდრით აჰკიდებდნენ ნაგავს და ზურნით გზამდე მიაცილებდნენ. გვირგვინის ახდისას მეჯვარე ხელში სასმისით დალოცავდა ნეფე-პატარძალს: „იყავით ბედნიერი, ბოლომდის ერთ სართალზე (სასთუმალზე) დაბერებულიყავით, დედ-მამის პატივმცემელი იყავით“-ო. მერე აიღებდა ხანჯალს, დაიწყებდა ლავაშის დაჭრას და იტყოდა: „მტერი ასე დაგეკუწოსო“. მაყრებიც ლავაშსა და ხორცს კეპავდნენ და იძახოდნენ: „ასე დაეკუწოს მტერს ენა, ვინც თქვენ შორის ავი ენა ატაროსო“.

ზოგჯერ იტყოდნენ: „თუ ენა წამოგიგრძელებია: ამ ლავაშივით დაგიჭრი ენასაო, ჯერ პატარაზე, შემდეგ დიდზეო“. შემდეგ ხანჯლის წვერებით გვირგვინს ახდიდნენ.

დღეს ქორწინების ეს წესები მივიწყებულია.

შერთვა-გათხოვება ხდება მოწონებითა და სიყვარულით. გვირგვინები, მონური მორჩილების წესები, გაგრძელებული და შემაწუხებელი საქორწილო სუფრა შეცვლილი და გამარტივებულია უფრო კულტურულად მოწყობილი ნადიმით, სადაც ნეფე-პატარძალი შეზღუდული არ არიან მავნე წესებით, იქცევიან თავისუფლად და დროს ატარებენ მოლხენაში თანამესუფრეებთან ერთად.

მ შ ო ბ ი ა რ ე ქ ა ლ ი წინათ უმწეო მდგომარეობაში იყო. ქალს პირველად სამშობლოში უნდა მოემშობიარებინა: მოიწვევდნენ ბებიაქალს, რომელიც შელოცვებითა და სხვადასხვა მანიპულაციებით ცდილობდა დახმარების გაწევას. მშობიარობის გართულების მომენტში, აქაური წესით, ქმარს ჩოხის კალთით მოჰქონდა წყალი და მშობიარეს შეასმევდა, ერდოდან კვერცხს ჩამოახეთქებდნენ, ან ერდოდან ჩასძახოდნენ. „გველ-ბაყაყი გამიშვია, დედაშვილი გაიყარენითო“. ამასთანავე ეევედრებოდნენ ქალისა და ვაჟის ოჯახის მფარველ ანგელოზებს. მშობიარეს თავით რკინას შეუდებდნენ, ავი თვალი არ ეცესო. მშობიარე უწმინდურად ითვლებოდა 40 დღის განმავლობაში. სანამ არ გაინათლებოდა ვერ მიე-

კარებოდა პურს, საჭმელ-სასმელს; მას არც სხვის ოჯახში უშვებ-დნენ, თაგვები შეუყვებიანო. ასეთ ტანჯვას განიცდიდა წინათ ბელ-ლოგინე ქალი.

დღეს მელოგინე ქალებს ათავსებენ ახალქალაქის კარგად მოწ-ყობილ საავადმყოფოში, სადაც ექიმი-გინეკოლოგი უწევს საჭირო დახმარებას, იგი აქ იღებს უფასო მკურნალობას, რჩევა-დარიგებას და მასში მტკიცდება რწმენა მედიცინისადმი.

ასეთივე ცრუმორწმუნეობის ბურუსით იყო მოცული ადამიანის გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა და ტ ი რ ი ლ ი. თეძმის ხეობაში მომაკვდავს გულზე დაადებდნენ თავის სამუშაო იარაღს, ოთახის კარ-ფანჯრებს ღიას სტოვებდნენ, რომ სული შვებით ამოსვლოდა. გარ-დაცვალების შემდეგ, გასვენების დღეს იმართებოდა დიდი ქელე-ხი, თუ მიცვალებული ახალგაზრდა იყო, აცხობდნენ შოთსა და ლავაშებს, მოხუცისათვის კი კაკალა პურებს. ჭირისუფალს წლამ-დე მზის შუქი არ უნდა დაენახა და სახლიდან არ გამოდიოდა. მე-შვიდე დღემდე სახლის კარ-ფანჯრებს ღიად ტოვებდნენ, რომ სულს იქვე ეტრიალა და ესაზრდოებინა იმ საჭმლით, რომელიც მისთვის იდგა 7 დღემდე იმ ადგილას, სადაც სული დალია.

სწავლა-განათლების გავრცელებამ აქაური კოლმეურნე გლე-ხობა დაარწმუნა ამ წესების უაზრობასა და მავნებლობაში. ის უკვე გათვითცნობიერებულია, ერკვევა ბუნების მოვლენების სხვადასხვა საკითხებში და უკვე აღარა სწამს საიქიოს არსებობა.

მძიმე ავადმყოფს ათავსებენ საავადმყოფოში, სადაც ექიმები უწევენ ყოველგვარ მკურნალობა-დახმარებას. სიკვდილის შემთხვე-ვაში გასვენება და ქელეხი ტარდება უფრო კულტურულ ფორ-მებში.

ხალხური გართობაც, ძველთან შედარებით, საგრძნობლად შეი-ცვალა როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც. წინათ ხალხის გა-სართობი იყო ხატობა-დღეობები. თეძმის ხეობაში ყველაზე დიდი ხატობა იმართებოდა ე რ თ ა წ მ ი ნ დ ა ში, სადაც დიდძალი მლო-ცველი იყრიდა თავს. აქ ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს: ანთებული სანთლებითა და მუსიკით გარს შემოუვლიდნენ ეკლე-სიას, ვისაც დაპირებული ჰქონდა ცეკვა-თამაშით შემოუვლიდა. ზოგი ჯაჭვს—„დადიანს“ კისერზე დაიდებდა, ხოხვით შემოატა-რებდა მას ეკლესიის გარშემო და თან შველასა და განკურნებას ევედრებოდა. იხოცებოდა საკლავები, გაშლიდნენ სუფრებს და დროს ატარებდნენ ჭამა-სმასა და ცეკვა-თამაშში. აქვე იმართებო-და ჭიდაობა, რომელიც უეჭველად ჩხუბითა და აყალმაყალით თავ-დებოდა.

დღეს ყველაფერი ეს უკუგდებულია. საკმაოდ გათვითცნობიერებული აქაური კოლმეურნეები ხატობა-დღეობის ნაცვლად გასართობად მიდიან კინოში, კლუბებში, წარმოდგენებსა და ლექციებზე; აქაურ კლუბებთან ჩამოყალიბებულია თვითმოქმედი წრეები: დრამწრე, მოცეკვავეთა, მომღერალ-დამკვრელთა, ჭადრაკისა, ტანვარჯიშისა და სხვა სახის წრეები. კლუბები ყოველკვირა მართავენ წარმოდგენებს და კონცერტებს, უჩვენებენ ახალ კინოსურათებს, როგორც ადგილობრივს, ისე უცხოურსაც. ყველა ეს კულტურული ღონისძიება ხელს უწყობს ფართო მასების აღზრდისა და გათვითცნობიერების დიდი საქმის წარმატებით წარმართვას.

საჯარო ბიბლიოთეკა



თეძმის ხეობის რუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

თეძმის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა . .	5
მატერიალური კულტურის ძეგლები	8
შრომა-საქმიანობა	44

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი გ. ზ ა რ დ ა ლ ი შ ვ ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი მ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
კორექტორი ლ. გ ო რ დ ე ლ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 18.11.1958; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 25.3.1959; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 0,81; საბეჭდი ფურცელი 2,67; საავტორო
ფურცელი 2,39; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 2,43;
შეკვეთა 2009; უე 01452; ტირაჟი 2000
ფასი 65 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.